# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (10.128)

6 – 13 ივლისი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# უფასო ტრანსპორტი წლის ბოლომდე




# საქართველოში B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო

***საქართველოში B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა დაიწყო. პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა აქვთ, დიაგნოსტიკური კვლევები და ანტივირუსული მკურნალობა უფასოდ ჩაიტარონ.***

B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა დაავადების დროული დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და უმძიმესი გართულებების პრევენციისთვის არის მნიშვნელოვანი.

ინფექციური პათოლოგიისა და შიდსის ცენტრის დირექტორის, თენგიზ ცერცვაძის ინფორმაციით, საქართველოში დაიწყო B ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა. ეს პროგრამა მთლიანად ფინანსდება სახელმწიფოს (ჯანდაცვის სამინისტროს) მიერ. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მანამდე არადიაგნოსტირებული პირების სკრინინგულ კვლევას B ჰეპატიტზე (სისხლში HBsAg-ის განსაზღვრა) და დადასტურებული ქრონიკული B ჰეპატიტით (დადებითი HBsAg და/ან განსაზღვრადი HBV დნმ 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობით) პაციენტების (როგორც არანამკურნალევი, ისე უკვე მკურნალობაზე მყოფი) დიაგნოსტიკას და ანტივირუსულ მკურნალობას. უარყოფითი HbsAg-ის მქონე პირებს ჩაუტარდებათ კვლევა ანტი-HBc (ტოტალ) ანტისხეულებზე და ამ კვლევის უარყოფითი პასუხის შემთხვევაში (რაც ნიშნავს, რომ პაციენტს არ აქვს ადრე გადატანილი B ჰეპატიტი), შეეთავაზებათ B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უფასოდ. ქრონიკული B ჰეპატიტით პაციენტებს (დადებითი HBsAg და/ან განსაზღვრადი HBV დნმ 6 თვეზე მეტი ხანგრძლივობით) პროგრამის პირველ ეტაპზე ჩაუტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:

- ***ექიმის კონსულტაცია***
- ***ღვიძლის ელასტოგრაფია (ფიბროსკანით ან ულტრაბგერაზე დამყარებული ელასტოგრაფიით) ღვიძლის დაზიანების (ფიბროზის) ხარისხის განსაზღვრისთვის.***
- ***მუცლის ღრუს ორგანოების ულტრასონოგრაფიული კვლევა პროგრამაში პაციენტების ჩართვა მოხდება ეტაპობრივად.***

პაციენტები, რომელთაც ღვიძლის ელასტოგრაფიით დაუდგინდებათ ღვიძლის საშუალო ან მაღალი დაზიანების (ფიბროზის) ხარისხი ≥F2 და/ან მუცლის ღრუს ორგანოების ულტრასონოგრაფიული კვლევით გამოუვლინდებათ B ჰეპატიტისთვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი პათოლოგიური ცვლილებები, განიხილებიან პროგრამის პირველი ფაზისთვის ანტივირუსული მკურნალობის პოტენციურ ბენეფიციარებად და მათთან გაგრძელდება შემდგომი დიაგნოსტიკური კვლევები (სისხლის საერთო ანალიზი, ბიოქიმიური კვლევები, HBV დნმ-ის კონცენტრაციის განსაზღვრა და სხვ.) მკურნალობის საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად (ანტივირუსული მკურნალობის ჩვენებების გათვალისწინებით).

პაციენტებს ანტივირუსული მკურნალობა ჩაუტარდებათ ნუკლეოზიდ/ნუკლეოტიდის ანალოგების: ტენოფოვირ დისოპროქსილ ფუმარატის (TDF) ან ენტეკავირის (ETV) გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში ანტივირუსული მედიკამენტები ქვეყანაში ხელმისაწვდომი იქნება მიმდინარე წლის სექტემბერში. მანამდე კი, პაციენტებს აქვთ შესაძლებლობა, ჩაიტარონ ზემოთაღნიშნული დიაგნოსტიკური კვლევები და მოემზადონ მკურნალობისთვის.

# სამუშაო შეხვედრა მერის წარმომადგენლებთან



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილეებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

თათბირზე საუბარი შეეხო მიმდინარე ალოობას. აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტში მარცვლეული კულტურის დაბინავების პროცესი შეუფერხებლად, აგროვადების დაცვით მიმდინარეობს.

სამუშაო შეხვედრაზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა და სოფლების ხელმძღვანელებს მონიტორინგის პროცესში მეტი ჩართულობისკენ მოუწოდა.

თათბირზე ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენლებისგან ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ პრობლემებზე დეტალური ინფორმაცია მოისმინა და თანამშრომლებთან ერთად მათი გადაჭრის გზები განიხილა.

# ეკო-კლუბის წარმატება




***ქ.დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში მოქმედი ეკო-კლუბი „შექმენი მომავალი“ უკვე მერამდენე წელია კახეთის მასშტაბით ლიდერობას არ თმობს. ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემია 2024-ზე მათი გამოსვლა კვლავაც წარმატებულია. წელსაც წარმატებული მუშაობის შედეგად დედოფლისწყაროს მეორე სკოლის კლუბი გამარჯვებულ ოთხეულს შორის მოხვდა და ფინალში გადავიდა. შემდეგი ეტაპისთვის ისინი მთავარი პრიზისთვის ბრძოლას ფინალში განაგრძობენ, საბოლოო პასუხები კი სავარაუდოდ სექტემბერში გახდება ცნობილი.***

როგორც კონკურსის ერთერთმა ორგანიზატორმა კახა სუხიტაშვილმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ნახევარფინალში კახეთის რეგიონიდან 18 სკოლა იბრძოდა, რომელთაგან საუკეთესო შედეგების მქონე 4 სკოლაში მოქმედი ეკო-კლუბი შეირჩა. ფინალში გადავიდნენ: კუჭატნის საჯარო სკოლა; ბადიაურის საჯარო სკოლა; დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლა და აფენის N1 საჯარო სკოლა.

„კლუბს 2019 წლიდან ჩავუდექი სათავეში. გასულ წელს ნახევარფინალში მოვხვდით, წელს კი უფრო დიდი წარმატება ვაჩვენეთ და ფინალში ვართ. შარშანწინ კი მწვანე ჯილდო გადმომეცა,“ - ამბობს კლუბის ხელმძღვანელი ნონა ტოკლიკიშვილი.

წლევანდელი კონკურსის სლოგანია „იმოქმედე კლიმატისთვის“, რის ირგვლივაც სკოლებში მოქმედი ეკო-კლუბები რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობენ და სხვადასხვა აქტივობებში არიან ჩართულნი. წინა წლებშიც მეორე სკოლის მოსწავლეები ეკო-კლუბის ხელმძღვანელის, ნონა ტოკლიკიშვილის ძალისხმევით საკმაოდ წარმატებით გამოდიოდნენ.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# ზედმეტი ხმაურის შემთხვევაში ავტომობილები დაჯარიმდებიან

მომავალი წლიდან ავტომობილები, ზედმეტი ხმაურის შემთხვევაში დაჯარიმდებიან. აღნიშნულს გულისხმობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.



კერძოდ, დოკუმენტის თანახმად, იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის ექსპლუატაციისას წარმოქმნილი ხმაური საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას აღემატება, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით. განმეორებით შემთხვევაში ჯარიმა 200 ლარი იქნება, ხოლო კიდევ შემდეგ ჯერზე 300 ლარით დაჯარიმდება.

ეს წესი 2025 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდება.

# დედოფლისწყაროს მერი ალოობის პროცესზე საუბრობს

***დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ალოობის მიმდინარეობას აფასებს და მკის პროცესზე საუბრობს. მერის განმარტებით, ტექნიკის სიმცირე არ არის და კომბაინების მიწოდება მოთხოვნას პასუხობს.***

**ნიკოლოზ ჯანიაშვილი:** „ამ დროისთვის დახლოებით 40 000 ჰა ხორბლის და ქერის ნათესები გვაქვს. აქედან დაახლოებით 16 000 ჰა ქერია, ხოლო 24 000 ხორბალი. წელს დიდი ხნის განმავლობაში ნალექიანი ამინდები იყო, არადა ჩვენთან ხშირად გვალვიანი ზაფხულია ხოლმე. საშუალოდ, ჰექტარზე მიღებული მოსავლიანობა 4-5 ტონამდეა. საშუალო მოსავლიანობა 3 ტონაა მიჩნეული. ერთადერთი შეფერხება ახლაც წვიმებია, სხვა დაბრკოლება ალოობის პროცესში არ გვაქვს. ამჟამად 95%-ზე მეტი ქერი უკვე დაბინავებულია, 30% ხორბალი. ხორბალს საშუალოდ 3-დან 4 ტონამდე იღებენ. ბევრ რამეზეა დამოკიდებული, მიწის ტერიტორიაზე, სათესლე ჯიშზე და მოვლაზე. ბოლო წლებში თანამედროვეობას ფეხს ვუწყობთ და კლიმატის ცვლილებასთან ერთად იცვლება ის კულტურები, რომლებიც დედოფლისწყაროში მოგვყავს. ტარიბნის ველი 15 000 ჰა ტერიტორიას მოიცავს, თუ ადრე ძირითადი კულტურა ვენახი იყო, შემდეგ იქ აქტიურად მიდის ზეთისხილისა და ნუშის ბაღების გაშენება. ის კულტურები, რომლებიც გვალვასთან მედეგია და ავთენტურია დედოფლისწყაროსთვის. ამ ტერიტორიაზე ზეთისხილი ანტიკური პერიოდიდან ფიქსირდება. ესაა სწორი მიდგომების დამსახურება, რომ ერთი გოჯი მიწა დაუმუშავებელი, ან დაუბინავებელი არ რჩება.“

***ილია მარტყოფლიშვილი***



# საზაფხულო ბაღი ამოქმედდა

***სასწავლო დაწესებულებებში საზაფხულო არდადეგები რამდენიმე კვირის წინ უკვე დაიწყო, ივნისის ბოლოს სასწავლო პროცესი დასრულდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებშიც. თუმცა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დედოფლისწყაროში საზაფხულო ბაღი ამოქმედდა, სადაც დასაქმებულ მშობლებს დამატებით კიდევ ერთი თვის განმავლობაში შეეძლებათ ბავშვები მორიგე საბავშვო ბაღში ატარონ.***

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ამ სეზონზე საზაფხულო საბავშვო ბაღი ქალაქ დედოფლისწყაროში, №2 საბავშვო ბაღის შენობაში ამოქმედდა. სააღმზრდელო პროცესი საზაფხულო ბაღში 1 ივლისიდან დაიწყო და მთელ თვეს გასტანს. ზაფხულის სეზონზე ერთ-ერთი ბაღი ყოველწლიურად მორიგეობის პრინციპით მოქმედებს და ბავშვებს ყველა საბავშვო ბაღიდან განცხადების საფუძველზე იღებენ.

**ირმა ჯანაშვილი (დედოფლისწყაროს სააღმზრდელო ცენტრის უფროსი):** „თავდაპირველად ქალაქ დედოფლისწყაროს №1 ბაღის შენობაში ვაპირებდით საზაფხული ბაღის გახსნას, ვინაიდან წელს დაგეგმილია №2 საბავშვო ბაღის ძირეული რეაბილიტაციის პროცესი. თუმცა, ვინაიდან სამუშაოები მიმდინარე თვეში არ იწყება, შესაძლებლობა მოგვეცა შენობის შეუცვლელად დაგვეწყო მუშაობა. სულ შემოვიდა 52 აღსაზრდელის განაცხადი, მოქმედებს ორი ჯგუფი. საზაფხულო ბაღი ერთი თვის განმავლობაში იმუშავებს. ივლისის ბოლოდან კი ველით სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას“.

მშობლების დიდი ნაწილი არდადეგების სრულად გამოყენებას გეგმავს, ნაწილი კი მიანიშნებს, რომ დასაქმებულები არიან და მათთვის საზაფხულო ბაღის ამოქმედება მნიშვნელოვანია. „შირაქმა“ იმ მშობლების აზრი მოისმინა, რომელთაც შვილები საზაფხულო ბაღში შეიყვანეს.

„საზაფხულო არდადეგები, რა თქმა უნდა, კარგია და ბავშვისთვის დასვენება აუცილებელია, მაგრამ ბევრი მშობელი ისეთ სამსახურშია დასაქმებული, ცხელ დღეებშიც ვმუშაობთ. ამდენად, მცირეწლოვანი ბავშვების სამი თვით სახლში გაჩერება ჩვენთვის წარმოუდგენელია. ვითარება უფრო რთულდება, თუ დამტოვებელიც არავინ გვყავს. ამიტომ ერთთვიანი საზაფხულო ბაღის მოქმედებაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი შეღავათია, რომ კიდევ ერთ თვეს ბავშვები სააღმზრდელო დაწესებულებებში გაატარებენ, შემდეგ კი დასვენებასაც მოვასწრებთ და სასექტემბროდ, ახალი სასწავლო წლისთვის მომზადებასაც. მადლობა გვინდა ვუთხრათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, რომ საზაფხულო ბაღის შესაძლებლობა არსებობს. სხვაგვარად ძალიან გაგვიჭირდებოდა ზაფხულის გატანა. ახლა კი ძალიან შეგვიმსუბუქეს საზრუნავი,“ - აღნიშნავენ მშობლები.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# შეხვედრა მერებთან

**კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გიორგი ალადაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებთან მორიგი, სამუშაო შეხვედრა გამართა.**

შეხვედრის დაწყებისას გიორგი ალადაშვილმა კიდევ ერთხელ, გაუსვა ხაზი საქართველოს ეროვნული ნაკრების წარმატებას და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს მადლობა გადაუხადა.

„ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა გაახარა სრულიად საქართველო. მადლობა მათ და მადლობა თქვენ, ასევე, მადლობა ყველა შესაბამის სამსახურს, კულტურის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლებს, ვინც მატჩების საჯარო ჩვენებებისთვის მაქსიმალურად იყვნენ ჩართული პირდაპირი ტრანსლაციის ორგანიზებისა და ოპერატიულად გაშუქების პროცესში. უამრავ გულშემატკივარს რვავე მუნიციპალიტეტში, მიეცა შესაძლებლობა ერთად ექომაგათ საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის, რომელმაც საოცარი წუთები გვაჩუქა „EURO-2024“-ზე ასპარეზობის დროს“, - აღნიშნა გიორგი ალადაშვილმა.

სამუშაო შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს:

***-მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;***

***-სოციალური საკითხები;***

***-მიმდინარე თვეში ჩასატარებელი კულტურული ღონისძიებები;***

***-დასუფთავების საკითხები.***

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში გამართულ სამუშაო შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ესწრებოდნენ.

# საიდან მოდის სიმორცხვე?

***ყოველი ჩვენთაგანი იცნობს, ან შეხვედრია მაინც რამდენიმე მორცხვ, უკანდახეულ, შეუმჩნეველ ადამიანს. ასეთ ადამიანებს გარშემომყოფნი ძირითადად უცნაურთა, ზოგჯერ კი თავმომწონეთა კატეგორიაში აერთიანებენ. მაგრამ იშვიათად თუ ახსნის ვინმე მათ ქცევას სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შიშით.***

შიში სოციალურ სიტუაციებში უჩვეულო რამ არის. ადამიანთა უმეტესობას განუცდია შფოთვა გამოცდის ან მნიშვნელოვანი შეხვედრის წინ. ასეთი განცდები სრულიად ბუნებრივია. მაგრამ თუ სოციალური შიში ქრონიკულ და შემაწუხებელ პრობლემად გადაიქცა, მაშინ სხვა ადამიანებს და ახალი სიტუაციებს ყოველთვის მუქარად განიცდიან და ადამიანი ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, თავი აარიდოს მათ, ასეთ შემთხვევაში შეიძლება საქმე ფსიქიკურ აშლილობასთანაც კი გვქონდეს. თურმე შიში სხვა ადამიანთა წინაშე ევროპაში დღეს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ფობიაა.

პირები, ვინც ამ სახის შიშებით არიან შეპყრობილნი, იტანჯებიან რაწამს საკუთარი ოთხი კედლის დატოვება უწევთ;

-მათ ეშინიათ სხვების წინაშე სიტყვის წარმოთქმის;

-ღელავენ, როცა სხვების თანდასწრებით უწევთ ჭამა;

-წვეულებებს და საზოგადოებრივ შეკრებებს კოშმარად განიცდიან; თვალს ვერ უსწორებენ თანამოსაუბრეს, ლაპარაკობენ ცოტას და ხშირად ებმებათ ენა, ცდილობენ თავი აარიდონ ურთიერთობას ადამიანებთან.

-მორცხვ ადამიანთა უმეტესობა (80%) „შეუმჩნეველი მორცხვები" არიან, რადგან მათი სიმორცხვე შემჩნეველია სხვებისათვის, ვერავინ ხვდება თუ რაოდენი ძალისხმევა სჭირდებათ მათ საუბარში ან შეკრებაში მონაწილეობისათვის, როგორც კი სხვების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებიან, მათი შინაგანი ხმა იწყებს შეკითხვების დასმას: როგორ გამოვიყურები? საკმარისად კარგად გამომდის? როგორ მაფასებენ სხვები? იმედია შეცდომებს არ ვუშვებ? ეს შინაგანი მონოლოგი იწვევს არა მარტო წნევის აწევას, გულისცემის აჩქარებას, ოფლის დენას, არამედ ადამიანს ძალიან დიდი ენერგია სჭირდება საკუთარ თავში დაურწმუნწბლობის განცდის დასამალავად, გარეგნულად თითქოს მშვიდი, გაწონასწორებული, თვითდაჯერებული მორცხვი ადამიანები სინამდვილეში თავს პატარად, უმნიშვნელოდ და უსუსურად განიცდიან.

-ასე რომ, არსებობს განსხვავება „გარეგნულად" და „შინაგანად" მორცხვების ქცევას შორის, თუმცა მათი ტანჯვა ერთნაირია.

- მკვლევარები აღნიშნავენ, რომ სიმორცხვე და სოციალური შიში სამ დონეზე ვლინდება: სხეულებრივ, აზროვნებითსა და ქცევით დონეზე. სხეულებრივ სიპტომებს წარმოადგენს: გაწითლება, გულისცემის აჩქარება, ხელების კანკალი. ფსიქიკურ დონეზე მორცხვი ადამიანები იტანჯებიან მუდმივი დაკვირვებებით საკუთარ თავზე და უარყოფითი აზრებით ქცევის დონეზე შეიმჩნევა თვალებით კონტაქტისგან თავის არიდება, ნაკლები ლაპარაკი, შებოჭილი მოძრაობები. სხვადასხვა ადამიანში ეს სიპტომები განსხვავებული სიძლიერით იჩენს თავს, მაგრამ ყველა მორცხვი და სოციალური შიშის მქონე ადამაინისათვის დამახასიათებელია გადამეტებული ყურადღება საკუთარი თავის მიმართ, მათ გამუდმებით უტრიალებთ თავში შემდეგი აზრები:



„არ მინდა, რომ ხელები ასე მიკანკალებდეს!", „რა ვთქვა ამის შემდეგ?" „სად წავიღო ხელები?" და ა.შ.

-მორცხვი ადამიანისათვის დამახასიათებელია საკუთარი თავისა და ქცევის მუდმივი კონტროლი, გადამოწმება. ისინი სოციალურ სიტაუციებში ყოველ წუთს ეკითხებიან საკუთარ თავს: „რა მომეთხოვება?" და როგორ შევძლებ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას?" თვითდაჯერებული ადამიანი კი, მსგავს შეკითხვას არასოდეს დაუსვამს საკუთარ თავს. მისი შეკითხვა უფრო ასეთი იქნება: „ვინ ვარ მე და როგორ მოვახერხო სოციალურ სიტუაციაში შევინარჩუნო ჩემი თავი?"

-საკუთარი თავის გადამეტებული კონტროლი ერთადერთ მიზანს ემსახურება: რაც შეიძლება ნაკლებად მიიქციონ სხვების ყურადღება. ეს ზეყურადღება საკუთარი თავის მიმართ ყველა მორცხვი ადამიანისთვისაა დამახასიათებელი-მიუხედავად იმისა შესამჩნევია სხვებისათვის მათი სიმორცხვე თუ არა.

-მორცხვები საკუთარი თავის ყველაზე დაუნდობელი კრიტიკოსები არიან. ისინი საკუთარ თავს ყველაფერში უარყოფითად აფასებენ-იქნება ეს ინტელექტუალური უნარები თუ გარეგნობა. მათი სწორედ ამგვარი დამოკიდებულება განსაზღვრავს იმას, რომ გარშემომყოფები მათ მართლაც უინტერესოდ მიიჩნევენ ყურადღებასაც ნაკლებად აქცევენ.

-თუმცა, ზოგჯერ პირიქითაც ხდება. მორცხვი და სოციალური შიშის მქონე ადამიანები საკუთარი თავის რაც შეიძლება უკეთესად წარმოჩენის მოთხოვნის მსხერპლნი ხდებიან, ამ მოთხოვნას კი, მათ თანამედროვე საზოგადოება უყენებს. ამიტომ ადამიანი ცდილობს, რაც შეიძლება უკეთ, ეფექტურად წარმოაჩინოს საკუთარი მე. ხშირად ამან საკმაოდ გროტესკული, ბუტაფორიული, სასაცილო ფორმებიც შეიძლება მიიღოს.

***-რა ხდება იმ ადამიანში, რომელიც ამგვარ ბუტაფორებს იყენებს სხვა ადამიანებითვის (რომლებიც ხშირად მისთვის აბსოლუტურად სულერთი არიან) თავის მოსაწონებლად, საკუთარი თავის წარმატებულად, მნიშვნელოვნად წარმოსაჩენად?***

-საკუთარი თავის წარმოჩენა პირველ ყოვლისა საკუთარი თავის მიმართ ყურადღების გამახვილებას გულისხმობს. ეს თვითყურადღება კი უმრავლეს შემთხვევაში უარყოფით განცდებს იწვევს, რადგანაც სუბიექტის ფაქტიური ქცევა, მისივე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. (ყურადღება საკუთარი თავის მიმართ მხოლოდ მაშინ იწვევს დადებით განცდებს, როცა ეს ყურადღება დადებითი თვისებისკენაა მიპყრობილი, მაგრამ სწორედ ამას ვერ ახერხებენ მორცხვი და სოციალური შიშის მქონე ადამიანები).

***-მაგრამ მაინც რის გამო ასკვნიან მორცხვი ადამიანები, რომ ისინი ყველაფერს არასწორად აკეთებენ? რატომ არის მთელი ყურადღება მიმართული საკუთარი თავისაკენ? რა იწვევს შიშს სხვების მიმართ?***

**– ფსიქოლოგთა აზრით სიმორცხვის და სოციალური შიშის მიზეზი ორგვარია:**

**1–ზოგი ადამიანი მორცხვად იბადება;**

**2– ზოგი კი, მორცხვი ხდება ადრეულ ბავშვობაში ან ცხოვრების მანძილზე.**

**–ტემპერამენტის მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მორცხვ ადამიანთა მესამედი ამ თავისებურებით იბადება. ოთხი თვის ხუთას ბავშვზე ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამ ბავშვების 20%–ს სხვა ბავშვებთან შედარებით მძაფრი მოტორული რეაქციები ჰქონდათ საგნებზე, ტონებზე და სუნზე. უცხო გარემოში ისინი უფრო მეტს ყვიროდნენ. მათ „რეაქტიულ" ბავშვებად ახასიათებენ.**

-ფიზიოლოგიურმა გაზომვებმა უჩვენეს, რომ ამ ბავშვებს ადვილად აგზნებადი ნერვული სისტემა აქვთ. უკვე დედის მუცელში მათი გულისცემა საგრძნობლად ძლიერია სხვებთან შედარებით.

- 14 თვის ასაკში ძლიერი გულისცემა კიდევ შეიმჩნეოდა, როცა ბავშვები უცხო სიტუაციაში ხვდებოდნენ.

- ამ ბავშვებში კიდევ ერთი ფენომენის არსებობა აღმოაჩინეს: კერძოდ, როგორც კი ახალ, უცნობ სიტუაციაში ხვდებიან ბავშვების მარჯვენა ჰემისფეროს აქტივობა საგრძნობლად იმატებს.

- „რეაქტიულ" ბავშვებს ზედმეტად აგზნებადი ნერვული სისტემა აქვთ. როდესაც მათ ახალი სიტუაციების დაძლევა უწევთ, ტვინის შესაბამისი ნაწილი ზომაზე მეტად, ანუ უფრო ინტენსიურად პასუხობს, ვიდრე ამას სიტუაცია მოითხოვს. ტვინი აგზავნის სიგნალებს სიმპათიკური ნერვული სისტემისაკენ და იწვევს შიშის ტიპიურ რეაქციებს: მაღალი წნევა, აჩქარებული გულისცემა. ამის გამო ბავშვს უსიამოვნო განცდები უჩნდება, იგი განიცდის შიშს, თავს დაუცველასდ გრძნობს. ჩვილები თავიანთ ცუდად ყოფნას ყვირილით, ტირილით და მოუსვენრობით გამოხატავენ. უფრო დიდი ასაკის ბავშვები კი ცდილობენ ახალი სიტუაციისათვის თავის არიდებას და ყოველთვის უკან იხევენ.

-„რეაქტიულ" ბავშვებში ფიზიოლოგიური თავისებურებები (აჩქარებული გულისცემა, მარჯვენა ჰემისფეროს აქტივობა) მოზრდილ ასაკშიც შეიმჩნევა. მოსალოდნელია რომ, ასეთი ჩვილები სამი-ოთხი წლის ასაკსი მორცხვი, დამფრთხალი, შეშინებული ბავშვები იქნებიან.

-რეაქტიული სიმპათიკური ნერვული სისტემის და ტვინის ზეაქტივობის გარდა, არსებობს კიდევ ერთი შესაძლო მიზეზი, რის გამოც ადამიანები ჩვილობის ასაკიდანვე სიმორცხვით გამოირჩევიან. ფსიქოლოგების დაკვირვებით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ბავშვები რომლებიც აგვისტო-სექტემბერში ჩაისახებიან მორცხვები გამოვლენ. ამის მიზეზი კი განსაკუთრებული ჰორმონი მელატონინი უნდა იყოს. ზამთრის თვეებში სხეული დიდი რაოდენობით მელატონინს გამოიმუშავებს, სწორედ ეს ჰორმონი უნდა განაპირობებდეს ჩანასახის, და შემდეგ ბავშვის, ჰიპერაქტივობას.რაკი მორცხვ ადამიანთა მხოლოდ ერთი მესამედი არის დაბადებიდან მორცხვი. ე. ი. უნდა არსებობდეს სხვა მიზეზიც, რის გამოც ადამიანებს სხვების შიში უვითარდებათ. კულტურათა შორის ჩატარებული კვლევები მიუთითებევნ სიმორცხვის გარეგან მიზეზებზე.

-ფსიქოლოგების მიერ გამოკვლეული იქნენ ტაივანელები, იაპონელები და ებრაელები. აღმოჩნდა, რომ იაპონელები და ტაივანელები ყველაზე მორცხვები არიან-გამოკითხულთა 60% მიიწერდა თავზე ამ თვისებას. ებრაელები, პირიქით: მხოლოდ 30% აღიარებდა ასეთი თვისებების არსებობას საკუთარ თავში.

-ამ განსხვავების მიზეზი ალბათ აღზრდის თავისებურებებში უნდა ვეძებოთ. იაპონიაში როგორც არ უნდა ეცადოს და რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიოს ბავშვმა, ქებას ყველა შემთხვევაში მშობელი იღებს, ხოლო როცა იმედს ვერ გაამართლებს, ან რაღაცას ვერ გააკეთებს, პასუხს მხოლოდ თვითონ აგებს ყველაფერზე. ამიტომ არცაა საკვირველი, რომ ასეთი ბავშვები მორცვებად ყალიბდებიან. ვინც აღიარებას არასოდეს არ იღებს, მას ვერ განუვითარდება საკუთარი ღირსების სტაბილური განცდა.

-ებრაელებთან პირიქით, ბავშვი ყოველთვის ყურადღების ცენტრშია, იღებს შექებას და წახალისებას, როცა რაიმეს სარისკოს სჩადის.

-სიმორცხვის ჩამოყალიბებაზე შექებასა და ყურადღებასთან ერთად მშობლებთან კავშირის რაგვარობასაც დიდი ზეგავლენა უნდა ჰქონდეს. გამოკვლევები უჩვენებენ, რომ მშობლებთან არამყარად, არასანდოდ დაკავშირებული ბავშვები უფრო მორცხვები არიან, ვიდრე მყარი, სანდო ურთიერთობის მქონენი.

-არამყარი კავშირი ყალიბდება, როდესაც მშობლები ბავშვზე ზრუნვისას არათანმიმდევრულობას იჩენენ და ამის გამო ბავშვებს უჭირთ საკუთარი ღირსების გრძნობის ჩამოყალიბება. ისინი ანზოგადებენ მშობლებთან მიღებულ ადრეულ გამოცდილებას და ამიტომ შემდგომაც ურთიერთობებში თავს დაუცველად გრძნობენ და სიყვარულის ნაკლებობას განიცდიან.

-სიმორცხვე მხოლოდ ადრეული ბავშვობის გამოცდილების შედეგი როდია. მიდრეკილებამ სოციალური შიშისა და სიმორცხვისადმი ცხოვრების გვიანდელ ეტაპზეც შეიძლება იჩინოს თავი. მაგალითად, გარდამავალი ასაკი სწორედ ასეთ კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს. ამ ეტაპზე სრულიად ჩვეულებრივი დაურწმუნებლობის განცდა უარყოფითი გამოცდილების ზეგავლენით შეიძლება სოციალურ შიშად ან სიმორცხვედ ჩამოყალიბდეს.

**–სიმორცხვის და სოციალური შიშის მიზეზად შეიძლება სხვა კრიტიკული ცხოვრებისეული გამოცდილებაც იქცეს. მაგალითად: განქორწინებამ, უმუშევრობამ, ახალ ქალაქში გადასვლამ, ახლობელი ადამიანის დაკარგვამ, მანამდე სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, შეიძლება უცებ მორცხვ, უკანდახეულ, შეშინებულ არსებად აქციოს.**

*ფსიქოლოგი*

***ბესიკ გიგოლაშვილი***

# რა შემთხვევაში შეძლებთ დამტკიცებულ კრედიტზე უარის თქმას?

***„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესში“ ცვლილებები შევიდა.***

კერძოდ, სებ-ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის, ნათია თურნავას ახალ ბრძანებაში, რომელიც მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან ამოქმედდება, საუბარია, ფინანსურ ორგანიზაციებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე. მათ შორის, საფინანსო პროფუქტზე გაფორმებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობებზე.

ცვლილებების მიხედვით, მომხმარებელს უფლება აქვს უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე, ასევე, ერთ მილიონ ლარამდე გაცემულ სესხებზე/კრედიტებზე მათი გაფორმებიდან 14 დღის განმავლობაში.

ამასთან, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, გატანილი ძირის დაბრუნების გარდა, მომხმარებელი მხოლოდ გამოყენებული პერიოდის პროცენტს, ასევე, ადმინისტრაციული ორგანოსთვის და ნოტარიუსისთვის გადახდილ ხარჯებს დაფარავს.

როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, ფინანსურმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლისთვის საფინანსო პროდუქტის პირობების შესახებ უტყუარი, გასაგები და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელი, წინასწარ ცნობილი და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაციის დროულად მიწოდება, მათ შორის, მომხმარებელთან გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

ფინანსურმა ორგანიზაციამ მომხმარებელს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს პროდუქტის ნებისმიერი არხით შეთავაზებისას ხელშეკრულების გაფორმებამდე, რომელიც პროდუქტის მიღებასთან, სარგებლობასთან ან/და სარგებლობის დასრულებასთან დაკავშირებით მომხმარებელს არ უბიძგებს ისეთი გადაწყვეტილების მიღებისაკენ, რომელსაც იგი არ მიიღებდა უტყუარი და სრული ინფორმაციის ფლობის პირობებში.

ამასთან, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია საფინანსო პროდუქტის შეთავაზებისას/საფინანსო პროდუქტის მიწოდებამდე მომხმარებელს ზეპირსიტყვიერად გააცნოს ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები. „ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ზეპირსიტყვიერად გაცნობის ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პროდუქტის შეთავაზება ხორციელდება ისეთი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც გამორიცხავს ზეპირსიტყვიერ კომუნიკაციას და აღნიშნული ინფორმაცია მომხმარებლისთვის მიწოდებულია სხვა გზით (მათ შორის, დისტანციური საკომუნიკაციო საშუალებით),“- ვკითხულობთ დოკუმენტში.

ამავე დოკუმენტის მიხედვით, თუ მომხმარებლისთვის საფინანსო პროდუქტის შესათავაზებლად დისტანციური კომუნიკაციის საშუალებად გამოყენებულია სატელეფონო ზარი, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს საუბრის დასაწყისში ცხადად და გასაგებად გააცნოს ფინანსური ორგანიზაციის დასახელება და სატელეფონო ზარის მიზანი. მომხმარებლის მხრიდან საუბრის გაგრძელებაზე მკაფიო თანხმობის მიღების შემდეგ ფინანსური ორგანიზაციის წარმომადგენელმა უნდა მიაწოდოს საკუთარი ვინაობა და თავისი კავშირი ფინანსურ ორგანიზაციასთან.

„თუმცა, მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე, უარი თქვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე დისტანციური ხელშეკრულების დადების, ან თუ ამ წესის შესაბამისად, ხელშეკრულების მომხმარებლისთვის მიწოდება ხდება ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამ ხელშეკრულების მიღების დღიდან, 14 კალენდარული დღის განმავლობაში.

ცვლილებების მიხედვით, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება არ ვრცელდება:

ა) საფინანსო პროდუქტზე, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსურ ბაზარზე განხორციელებულ ცვლილებებზე, რაც ფინანსური ორგანიზაციების კონტროლს არ ექვემდებარება და რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების ვადის განმავლობაში. ასეთი საფინანსო პროდუქტები მოიცავს ან/და დაკავშირებულია:

*ა.ა) ვალუტის გაცვლასთან;*

*ა.ბ) ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებთან;*

*ა.გ) მიმოქცევად ფასიან ქაღალდებთან;*

*ა.დ) საინვესტიციო ფონდის მიერ ემიტირებულ უფლებებთან;*

*ა.ე) ფიუჩერსებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით;*

*ა.ვ) საპროცენტო განაკვეთის ფორვარდთან (FRAs);*

*ა.ზ) საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და კაპიტალის სვოპებთან;*

*ა.თ) ამ ქვეპუნქტში მოცემული ნებისმიერი ინსტრუმენტის შეძენის ან გასხვისების ოფციებთან, მათ შორის, ისეთ ეკვივალენტურ ინსტრუმენტებთან, რომელთა ანგარიშსწორება ხდება ნაღდი სახით. ასევე, ვალუტის და საპროცენტო განაკვეთის ოფციებთან;*

*ა.ი) დოკუმენტალურ ოპერაციებთან (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა);*




*ა.კ) ესქრო ანგარიშთან;*

*ა.ლ) ფაქტორინგულ ოპერაციებთან.*

***•ბ) ხელშეკრულებებზე, რომლებიც მომხმარებლის აშკარა და ცალსახა მოთხოვნის საფუძველზე სრულად შესრულდა ორივე მხარის მიერ, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე;***

***•გ) სადეპოზიტო ხელშეკრულებებზე.***

***როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, თუ მომხმარებელი იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, მან ფინანსურ ორგანიზაციას, ამ წესის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების ვადის ამოწურვამდე, უნდა გაუგზავნოს შეტყობინება.***

თუმცა, იქვე ნათქვამია, რომ მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მას შეიძლება დაეკისროს ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება ხელშეკრულების შესაბამისად, ფინანსური ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად. ამასთან, ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს მომხმარებელს დააკისროს ფინანსური ორგანიზაციის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება,“- ნათქვამია დოკუმენტში.

# 2025 წლიდან ტექინსპექტირება გავლილი მანქანა შესაძლოა,ხელახლა შემოწმდეს

***2025 წლიდან ტექინსპექტირების ცენტრებისთვის ახალი რეგულაციები ამოქმედდება. კერძოდ, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოწმებისას, ტექნიკური რეგლამენტის დარღვევაზე ჯარიმები წესდება.***

უფრო კონკრეტულად, თუ ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების შემოწმებისას პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრმა ხარვეზები არ დააფიქსირა, სახიფათო დარღვევის შემთხვევაში - 5000 ლარის ოდენობით დაჯარიმდება, მნიშვნელოვანი - 2000 ლარით, უმნიშვნელო - 500 ლარით. აღნიშნულის მონიტორინგი კი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დაევალება.

როგორც „ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი შიოლაშვილმა პრესკლუბში „კვირა“ განაცხადა,აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს, რომ ცენტრებმა უფრო ობიექტურად განახორციელონ ავტომობილის შემოწმება.

„2025 წლიდან იგეგმება, რომ განხორციელდეს ტექინსპექტირების ცენტრების მონიტორინგი. მონიტორინგს განახორციელებს სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო. განსაზღვრული იქნება გარკვეული საჯარიმო სანქციები, იმ შემთხვევაში თუ ტექინსპექტირების ცენტი არ დაახარვეზებს ავტომობილს, მაგალითად სახიფათო ხარვეზზე, მათთვის იქნება 5000 ლარიანი ჯარიმა გამოწერილი, თუ არ დაახარვეზებს მნიშვნელოვანზე, იქნება 2000 ლარიანი ჯარიმა, ხოლო უმნიშვნელოზე - 500 ლარიანი. საკმაოდ მკაცრი სანქციები იქნება და აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ უფრო მეტად ობიექტურად განახორციელონ ცენტრმა მონიტორინგი. მოგეხსენებათ, ადამიანური ფაქტორიც არის ჩარეული ამ პროცესში და შესაბამისად, გარკვეული კონტროლის მექანიზმები საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ამ რეფორმის წარმატებულ განხორციელებაზე“,- აღნიშნა გიორგი შიოლაშვილმა.

კონკრეტულად, როგორ შემოწმდება ცენტრების მუშაობა, „ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ჯერ კიდევ, მიმდინარე წლის თებერვალში ისაუბრა ბპნ-თან, რა დროსაც აღნიშნა, რომ ცენტრები სისტემატური ვიდეო მონიტორინგის ქვეშ იქნებიან, გარდა ამისა, სპეციალური ჯგუფები, ტექინსპექტირების ცენტრების მიერ შემოწმებულ ავტომობილებს მეორედ გადაამოწმებენ, ხარვეზის დაუფიქსირებლობის შემთხვევაში კი, შესაბამის ჯარიმებს გამოწერენ.

* * *

ტექინსპექტირება შესაძლოა, 30 ლარით გაძვირდეს. ამის საჭიროებაზე, „ტექინსპექტირების ცენტრების კავშირის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი შიოლაშვილმა პრესკლუბში „კვირა“ ისაუბრა.

მისი თქმით, ტექდათვალიერების საფასურის გადახედვა 5 წელია არ მომხდარა, ეს მაშინ, როდესაც პერსონალის გადინების მაჩვენებელი არის კატასტროფულად მაღალი. ეს კი ცხადყოფს იმას, რომ არსებული რესურსებით ცენტრებს არსებობა გაუჭირდება.

„ტექინსპექტირების ცენტრებს უჭირთ კადრების მოზიდვა, იმ რესურსებიდან გამომდინარე, რაც მათ დღევანდელ დღეს გააჩნიათ. ტექინსპექტირების ცენტრების საფასური თუ არ იქნება გადახედილი, ჩვენ საუბარი გვაქვს 30 ლარით გაძვირებაზე, ძალიან გაუჭირდებათ ცენტრებს იმ რეალობაში, რომელშიც მანამდე მუშაობდნენ. მითუმეტეს, მკაცრი მონიტორინგის ფარგლებში, სულ უფრო კრიტიკული ხდება კომპეტენტური პერსონალის ყოლა. აქედან გამომდინარე, საჭიროება დგას იმის, რომ გადაიხედოს ეს პირველადი ტექინსპექტირების საფასური, რათა ცენტრებმა შეინარჩუნონ კვალიფიციური თანამშრომლები და არ მოხდეს მათი კომპანიებიდან გადინება“,- განაცხადა გიორგი შიოლაშვილმა.

მისი თქმით, აღნიშნულ საკითხზე უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები და 2025 წლიდან შესაძლებელი იქნება მომსახურების ფასის მატება.

ცნობისათვის, ამ დროისთვის ცენტრებში მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექდათვალიერების საფასური 60 ლარს შეადგენს.

# უკრაინა ქართველი ღვინის მწარმოებლების წინააღმდეგ სანქციებს ამზადებს

***კორპორაცია „უკვინპრომის“ ადგილობრივი მეღვინეები უკვე ერთი წელია ითხოვენ უკრაინის მიერ სანქციების შემოღებას ქართველი და სომეხი ღვინისა და კონიაკის მწარმოებლების წინააღმდეგ, რომელთა პროდუქცია რუსეთში ჯერ კიდევ იყიდება. ამის შესახებ უკრაინული მედია წერს.***

## რა მოხდა?

უკვე ერთი წელია, რაც „უკვინპრომი“ ეროვნული უსაფრთხოებისგან ქართული და სომხური კომპანიების წინააღმდეგ სანქციების შემოღებას გეგმავს. მათი სურვილია, კონკრეტულ მწარმოებლებს ათი წლით აეკრძალოთ სავაჭრო ოპერაციები, კაპიტალის გატანა უკრაინის ფარგლებს გარეთ, სასაქონლო ნიშანზე უფლებების გამოყენება, დომენის სახელები, ლიცენზიების გაუქმება და დაბლოკვა. სიაში შედის 17 კომპანია, მათ შორის „სარაჯიშვილი“ და „ძმები ასკანელები“.

„ჩვენ გსურს, გავაუქმოთ მწარმოებლების ნაწილის შემოსვლა, რომლებიც „ორ სკამზე მოკალათებას“ ცდილობენ და პროდუქციას რუსეთისა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ყიდიან და ამავდროულად უკრაინის ტერიტორიაზეც რჩებიან. ეს პირველ რიგში შეეხებათ მათ, ვისაც რუსი ხელმძღვანელობა ჰყავს“ - განაცხადა „უკვინპრომის“ დირექტორმა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ქართული ღვინის მწარმოებლები, ვისზეც არის ჩამონათვალში საუბარი, კრემლთან დაახლოებული პოლიტიკური პარტიის „ქართული ოცნების“ წევრები არიან.

## რა რაოდენობის ქართულ ღვინოს მოიხმარს უკრაინა?

ქართული ღვინოები და ქართული კონიაკები უკრაინის ბაზარზე ათწლეულების განმავლობაში იყიდება.

2019 წლამდე ქართული ღვინო ნომერ პირველი იყო იმპორტირებულ ღვინოებს შორის და უკრაინაში ჩამოსხმული ღვინის გაყიდვების 70%-ზე მეტს შეადგენდა. ამჟამად ქართული ღვინის წილი, ბაზრის მონაწილეების აზრით, იმპორტირებული ჩამოსხმული ღვინის კატეგორიაში 20%-ს არ აღემატება.

2006 წელს, რუსული ემბარგოს შემდეგ, ქართული ღვინის დიდი ნაწილი უკრაინისკენ გადამისამართდა. მიუხედავად ქვეყნებს შორის მეგობრობისა და ეკონომიკური ბარიერების არარასებობისა, ბოლო 4-5 წელში ქართული ღვინის წილი უკრაინაში შემცირდა და ის იტალიურმა და ესპანურმა ღვინოებმა ჩაანაცვლა.

ომის დაწყების შემდეგ უკრაინაში ალკოჰოლზე მოთხოვნა დაეცა და მხოლოდ ახლა უბრუნდება ის ომამდელ ნიშნულს, თუმცა თუ ადრე მყიდველები უფრო ძვირიან სასმელს ყიდულობდნენ, ახლა ფასს მეტ ყურადღებას აქცევენ. კლება დაფიქსირდა საშუალო ფასების სეგმენტში.

ცნობისათვის,2024 წლის იანვარ-მაისში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქართული ღვინის ექსპორტი 35.8%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარ-მაისში ყველაზე მეტი ქართული ღვინო რუსეთში გავიტანეთ ექსპორტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ საანგარიშო პერიოდში ქართული ღვინის მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 74.5% იყო.

ღვინის უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე პოლონეთია, მესამეზე კი უკრაინა, თუმცა ქართული ღვინის მთლიან ექსპორტში რუსეთის, პოლონეთისა და უკრაინის წილებს შორის სხვაობა დიდია. უფრო კონკრეტულად, მაშინ როცა მთლიან ექსპორტში რუსეთის წილი 74.5%-ია, მეორე ადგილზე მყოფი პოლონეთის წილი მხოლოდ 4.6%, ხოლო მესამე ადგილოსანი უკრაინის წილი 3.6%-ს შეადგენს.

იანვარ-მაისში რუსეთში, პოლონეთსა და უკრაინაში განხორციელებული ქართული ღვინის ექსპორტი ასე გამოიყურება:

**რუსეთი – ექსპორტირებულია 104.55 მლნ დოლარის 38 661 ტონა**

**პოლონეთი – ექსპორტირებულია 6.443 მლნ დოლარის 2 609 ტონა**

**უკრაინა – ექსპორტირებულია 4.983 მლნ დოლარის 1 778 ტონა**

*გვერდი მოამზადა*
***ჟუჟუნა ყანჩაშვილმა***

# ფერების მგოსნის აკვანი

გედიქის ხევს ოზაანი და მირზაანი ერთურთისთვის დაუშორებია, ამ ხევით ავბედობის ჟამს ლეკები შემოიჭრებოდნენ ხოლმე და ქიზიყის სოფლებს მოსვენებას არ აძლევდნენ. თვით ნიკალას მამას, ასლან ფიროსმანაშვილს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ლეკებთან ბრძოლაში. მრავალი გადმოცემა არსებობს: გედიქის ხევიდან თურმე ლეკებს ბავშვები მოეტაცათ. მდევარი, მდევარიო, რომ ატყდა ყვირილი, ახალგაზრდა ასლანი ცხენით გამოსდგომია და ლეკებს ტყისთვის თავის შეფარება ვერ მოუსწრიათ. ატყდა მათ შორის ხელჩართული ბრძოლა, რომელიც მირზაანელ ვაჟკაცს მოუგია. ბავშვები მშობლების დაუბრუნებია. სოფელსაც ასლანი დაუფასებია და ტყიანი ფერდობით დაუსაჩუქრებია. ამ ფერდობს დღემდე „ასლანის ჩრდილს“ ეძახიან.

ჩრდილოეთითა და დასავლეთით მირზაანს ქვემო და ზემო მაჩხაანი ესაზღვრება. XIX საუკუნეში მირზაანი ხალხმრავალი სოფელი იყო, სადაც 1000 კომლზე მეტი ცხოვრობდა. მშვენიერი სოფლის ქუჩებში მრავალი სასიქადულო მამულიშვილს გაუვლია. ტანდაკოჟრილი კაკლისა და თუთის, აკაკისა და მუხის ხეები მრავალი საინტერესო ამბის მომსწრენი გამხდარან, მაგრამ მირზაანი მხოლოდ სანაქებო წარსულით როდი იწონებს თავს. იგი ამაყობს ღირსეული შვილებით, რომელთა ნიჭის ნაყოფმა აამაღლა სამშობლოში და მსოფლიოში ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა.

მირზაანში დაირწა ნიკო ფიროსმანის აკვანი, ოდითგანვე აქა ცხოვრობდა ფიროსმანაშვილების საგვარეულო. შალვა დადიანის ცნობით, 1922 წელს მირზაანში 40 კომლზე მეტი ფიროსმანაშვილი ყოფილა. აქვე, ამ უბანში უცხოვრია მხატვრის მშობლებს, თეკლე ტოკლიკიშვილსა და ასლან ფიროსმანაშვილს. ჰქონდათ ძველებური, გლეხური ქოხი, რომელშიც 1862 წლის 5 მაისს დაბადებულა ნიკო. ორი ქალიშვილის შემდეგ ღარიბულ ოჯახში ვაჟის დაბადებას სიხარული მოჰყოლია. მომავალი მხატვარი ამ სოფელში ტკბებოდა სასიამოვნო იავნანათი, აქ ისმენდა საქართველოს გმირულ წარსულზე, მაგრამ უდარდელი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. რვა წლის ყმაწვილი მამით დაობლდა. გაჭირვებულ ოჯახს უფრო გასჭირვებია. ახალგაზრდა ქვრივი იძულებული გამხდარა სხვის კარზე წყალი ეზიდა, პური ეცხო, სხვისი ვენახი ეთოხნა და შვილები ერჩინა.

მგრძნობიარე ბავშვმა ნიკომ გადაწყვიტა ოჯახის რჩენაში დედას შეშველებოდა და სოფლის მენახირეს შეუამხანაგდა, პირუტყვს გაშლიდა ხოლმე ხოკიაანთ სერზე და გაოცებული თვალით შეჰყურებდა ყველაწმინდის ეკლესიისკენ მიმავალ ურმებს მლოცველებით დატვირთულს, რომელთაც უკან გამობმული ჰყავდათ რქადაგრეხილი ჭედილები... უყურებდა და ტკბებოდა ალაზნის ველის თვალწარმტაცი პეიზაჟებით. მაგრამ ნიკოს ეს ერთადერთი ბედნიერებაც წაერთვა. მისი დის, მარიამის მეუღლემ — ალექსიმ თბილისს წაიყვანა და ლუკმაპურისთვის ქალანთაროვების ოჯახში ჭურჭლის მრეცხავად დააყენა. ნიკოს არც აქ დავიწყებია მირზაანი და სამზარეულოს კედლებზე სოფელში განცდილ-ნანახს ნახშირით ხატავდა. კრუხსა და წიწილებს, თავიაანთ წნელის ქოხს, ცხვარსა და ბატკანს... თუ როგორმე სამგზავრო ფულსა და თავისუფალ დროს იპოვიდა, მაშინვე სოფლისაკენ მოეშურებოდა. მოინახულებდა ხოლმე თავიანთ კერას. უსაქმოდ არც აქ ჩერდებოდა. მამისეულ ვენახში ხან თოხავდა ხან ბარავდა.

სოფელში დიდხანს მოიპოვებოდა მოხუცები, რომელთა მეხსიერებიდან არ წაშლილიყო ნიკოს მოქნილი ტანი, ფართო ბეჭები, მეტყველი თვალები, გაშლილი შუბლი, ლამაზად გადავარცხნილი თმა. ახსოვდათ მისი დინჯი საუბარი, ხავერდოვანი ხმა... მირზაანში ახლაც მიგვითითებენ გორაზე, საიდანაც ოცნებაში ჩაძირული მხატვარი უყურებდა კახეთის მადლიან ბუნებას, რომელმაც დიდი ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში.

1894 წლის შემდეგ განსაკუთრებით ხშირად ეწვეოდა ხოლმე სოფელს, როდესაც განთავისუფლდა რკინიგზის კონდუქტორის მოვალეობიდან და ვაჭრობას მიჰყო ხელი. პირველ ხანებში ეს მომგებიანი აღმოჩნდა, რამაც საშუალება მისცა მირზაანში ახალი სახლი აეშენებინა. 1898 წლის გაზაფხულზე ნიკო ეტლით მოადგა მირზაანს, მთელი სოფელი გამოეგება. თანასოფლელები გულთბილად ხვდებოდნენ. დას და დისშვილებს უამრავი საჩუქარი ჩამოუტანა. მისი დის, ფეფოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ხარობდა ძმის ნახვით და საკერავი მანქანით, რომელიც ძმამ თბილისიდან ჩამოუტანა. სუფრა გაიშალა, თავი მოიყარეს მახლობლებმა, რომელთაც ნიკომ აუწყა, რომ აპირებდა ახალი სახლის აშენებას. ამოირჩია სამოსახლო, თვითონ შეიმუშავა პროექტი და მშენებლობასაც თვითონ ხელმძღვანელობდა.

„ეს სახლი თვითონ ნიკომ ააშენა“ – იგონებს მისი დის შვილი, სოფელ ჯაფარიძეში მცხოვრები თამრო ბარამაშვილი. – „კარგად მახსოვს, მთვარიან ღამეში როგორ ურევდა კირს მეორე დღისთვის, დღისით კი კალატოზებს აწვდიდა ქვასა და აგურს“. ნიკომ მირზაანში პირველმა გადახურა სახლს თუნუქი, რაც საკვირველება იყო. მაგრამ ყველაზე მეტად ნაცნობები მხატვრის მიერ დახატულმა ტილოებმა გააოცა, რომლებიც ახალი სახლის კედლებს ამშვენებდა. ეზოში ნიკომ მრავალი ხე დარგო, რომლებიც დღესაც ამაყად შრიალებენ. შემდეგ კაკლის ჩრდილში სუფრა გააწყო, მოიწვია მახლობლები და ყველა, ვინც მშენებლობაში ხელი წააშველა. წვეულებას თვითონ უძღვებოდა, მხიარულობდა, მღეროდა. მეორე დღიდან ახალი სახლი წვრილშვილიან ფეფეს გადაულოცა და თბილისისკენ გაეშურა. სოფელი არც გაჭირვების ჟამს ავიწყდებოდა. როცა სიდუხჭირის გამო მირზაანში ველარ მოდიოდა, ლადო ასათიანის სიტყვებით რომ ვთქვათ:

**„როცა ზაფხული დადგებოდა თბილის ქალაქში,**
**ჯავრობდა: ხედავ, ყველაფერი როგორ ხმებაო,**
**გაეხვეოდა ირემივით მწვანე ბალახში:**
**სოფელში ველარ მივდივარ და მეამებაო“**

1918 წელს ყველასგან მივიწყებული ფერების მგოსანი სიმარტოვეში გარდაიცვალა. მირზაანში კი ნიკოს ფეფო დიდხანს ელოდა – ან ეხლა შემოაღებს კარსა და ან ეხლაო. მაგრამ უილბლო შემოქმედი უპატრონო მკვდრის სახელით მიაბარეს მიწას...

ფიროსმანის ფერწერით მემკვიდრეობას ყურადღება მოგვიანებით მიექცა. 1960 წლიდან მის მშობლიურ სოფელში არსებობს ფიროსმანაშვილის სახლ-მუზეუმი, რომელიც 1963 წლის 5 მაისს საზეიმოდ გაიხსნა.

***ანზორ მაძღარაშვილი***
*1970 წ. გაზეთი „შირაქი“*

# „აკაკის ხესთან დაწვეს ფიროსმანის ნახატები“

***88 წლის ასაკში გარდაიცვალა ფიროსმანის მკვლევარი, სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი დირექტორი ანზორ მაძღარაშვილი. 2 ივლისს ის მშობლიურ სოფელ ზემო მაჩხაანში დაკრძალეს. დაკრძალვას ესწრებოდა დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც.***

***მთელი მისი ცხოვრება ნიკო ფიროსმანაშვილს უკავშირდება. 48 წელი ფიროსმანზე ფიქრსა და ზრუნვაში გაატარა. მთაწმინდაზე დიდი მხატვრის სიმბოლური საფლავის ნიშის დადგმაც მისი იდეა იყო და მირზაანში მსოფლიოს საერთაშორისო ხელოვნების ცენტრის დაარსებაც სურდა... თუმცა ამ უკანასკნელს მაშინ ასრულება არ ეწერა...***

1979 წელს მირზაანის ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მემორიალური კომპლექსის ორგანიზატორი და ფუძემდებელია.

* * *

გთავაზობთ **ანზორ მაძღარაშვილთან** ინტერვიუს, რომელიც რამდენიმე წლის წინაა ჩაწერილი

— ***ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმის მმართველის, ანზორ მაძღარაშვილის პერსონა.***

— დავიბადე სოფელ ზემო მაჩხაანში. სოფელში იმ დროს ორი სკოლა იყო - დაწყებითი და საშუალო. დაწყებითი სკოლა რომ დავამთავრე, მე-5 კლასიდან საშუალოში გადავედი, შალვა მანაგაძე იყო სკოლის დირექტორი. იმან განაცხადა, რომ ჩვენს სკოლაში წელს 667 ბავშვიაო, იმ დაწყებითებში კიდევ 200 ბავშვი მაინც იქნებოდა. ახლა, სამწუხაროდ და საუბედუროდ, სოფელში სკოლაში დაახლოებით 70 ბავშვი დადის. მე მასწავლიდა პელო რობიტაშვილი. რუსულს მასწავლიდა თამარა ელისევნა.

დღევანდელ დღეს რომ ვუყურებ, ჩვენთან მაშინ სწავლა მართლა იყო, სკოლას სკოლა ერქვა, ბიბლიოთეკას — ბიბლიოთეკა, დაწესებულებას — დაწესებულება და სახელმწიფოებრივ სახეს ატარებდა. დღეს ეს მოშლილია და სადმე თუ ვინმე ცდილობს, ამას ეს სახე შეუნარჩუნოს, იმას ალმაცერად უყურებენ.

— ***რომელი საგნები გიყვარდათ?***

— თავიდანვე ჰუმანიტარული დარგები, ქართული ენა და ლიტერატურა მაინტერესებდა. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე, მერე ვმუშაობდი რედაქციებში. ჯერ დედოფლისწყაროს რაიონულ გაზეთ „ახალ შირაქში“, მერე მარნეულის გაზეთ „ახალ მარნეულში“ სტატიებსა და იუმორესკებს ვწერდი. მაგრამ მთელი ცხოვრება მინდოდა ფიროსმანის მუზეუმში მემუშავა. სტუდენტობის დროს დავათვალიერე ეს მუზეუმი და იმდროიდან ჩამრჩა გულში. დირექტორი კარგი კაცი იყო, მაგრამ პატარა ხელფასი მაქვსო და პენსიაზე მალე გავიდა. მე მაშინ მარნეულში ვიყავი, წამოვედი იქიდან, რომ გასაუბრებაში მიმეღო მონაწილეობა. წესი ასეთი იყო, თანამშრომელს რომ იღებდნენ, რაიკომის მდივანს უნდა გასაუბრებოდნენ. ჩემი კონცეფცია და შეხედულება მქონდა ფიროსმანზე, ავუხსენი, რას გავაკეთებდი, მუშაობას რომ დავიწყებდი. გასაუბრება რომ დამთავრდა, გამოაცხადეს, მაძღარაშვილი დარჩეს და დანარჩენები წავიდნენ სახლებშიო. ასე დავიწყე მუშაობა ფიროსმანის მუზეუმში.

— ***თქვენი იდეით აშენდა ნიკო ფიროსმანაშვილის მემორიალური კომპლექსის საგამოფენო დარბაზი მირზაანში...***

— იდეა, ყველაფერი... ეგ ყველაფერი ჩემი მოგონილია. ძალიან მალე დაიწყო ეროვნული მოძრაობა. გადავწყვიტე, წარმედგინა ჩემი გეგმა კულტურის სამინისტროში, სადაც აღვწერდი, როგორი უნდა ყოფილიყო ფიროსმანის მუზეუმი. მანამდე საქართველოს ყველა



მუზეუმი შემოვიარე. დავიწყე ფიქრი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ფიროსმანის მუზეუმი. ფიროსმანი დიდი მხატვარია, რომელიც ქართულ მხატვრობაში ძალიან მყარად არის დამკვიდრებული. ფიროსმანის ეს სიდიადე უნდა ასახულიყო შენობაში, არქიტექტორ გურამ ბაქრაძესთან ერთად ვმუშაობდი. გადაწყდა, შენობის საფუძველი უფრო განიერი ყოფილიყო და თანდათან ამაღლებულიყო, ნურავის ეწყინება, მაგრამ ფიროსმანმა ყველა დაჩრდილა და ყველას ზემოდან გადახედა.

სამინისტრომ მომიწონა გეგმა, დამრთეს ნება, რომ აღმედგინა მემორიალობა. მართლაც, აღვადგინე. რაც მთავარია, ძალიან კარგი ადგილი შეირჩა. ის ჩანს, ყველა მხრიდან, წნორიდან და დედოფლისწყაროდანაც რომ მოდიხარ. სტუმარი ალაზნის ველს გადაჰყურებს და მთლიანად ხედავს კავკასიონს. ეს ხედი ძალიან ხიბლავთ ტურისტებს. ასე რომ, მემორიალური მუზეუმი პირველად საბჭოთა კავშირში ჩვენ ავაშენეთ. ავაშენეთ და ჩავდეთ ფიროსმანის სულიც და შემოქმედებაც. 1979 წელს 13 მაისს გაიხსნა.

— ***ამ ეზოში დგას ფიროსმანის პატარა სახლიც...***

— ეს არის 1898 წელს ფიროსმანის მიერ აშენებული სახლი. კომუნისტების დროს გაიხსნა ეგ მუზეუმი — ფიროსმანს არა ჰქონდა შესაძლებლობაო, ამიტომ დაუწუნეს იატაკი, მუხის იატაკი აყარეს და დააგეს პარკეტი. ფიროსმანის სახლში თავდაპირველად მუხა იყო დაგებული და თელის კოჭები იყო გამოყენებული. სვეტები კი ღვიოსი იყო, ღვიო ელდარის ტყეებში ხარობს და ძალიან გამძლეა. მიწაში რომ ჩადო, არ დალპება. მაშინ ეს მასალა იხმარებოდა. ამაზე მუშაობა კიდევ ცალკე დავიწყე, ცოცხლები იყვნენ ფიროსმანის დისშვილები, შევისწავლე ამის სახე როგორი იყო და წარვადგინე კულტურის სამინისტროში. კულტურის სამინისტრომ მოგვიწონა და დაგვრთეს ნება მემორიალობის აღსადგენად.

„ნაციონალების“ დროს რომ ორჯერ გამათავისუფლეს, ადგნენ და ჩვენ მიერ დაგებული მუხის იატაკი ისევ აყარეს და ფიჭვის პარკეტი დააგეს. ახლა იატაკი ისევ ხელახლაა გასაკეთებელი.

ჩვენთან, ქიზიყში, ფიჭვს საშენ მასალად არ ხმარობდნენ. მაგარი ჯიშის ხეები ერჩივნათ. ჯერ ერთი, ფიჭვი მოსატანად ძალიან რთული იყო, 1915 წელს, მატარებელი რომ გაიხსნა წნორისწყალზე, მაშინ შემოიტანეს ფიჭვი. მანამდე ურმით საიდან უნდა მოეტანათ? ქართულ ფიჭვს ჭია უჩნდება, რუსული კი ძნელად ხელმისაწვდომი იყო. ამიტომ ამ მასალას ალმაცრად უყურებდა ჩვენი მოსახლეობა. ახლაც ასეა, ისევ ურჩევნიათ მუხა, წაბლი, წიფელი, თელა... ამიტომ ფიროსმანის სახლის იატაკი და სხვა ბევრი რამ იქ ისევ შესაცვლელია.

დიდი საგამოფენო დარბაზი რომ აშენდა, იქ უფრო თავისუფალი მოქმედება შეიძლება. ეგ ფიროსმანის აშენებული და ხელწავლებული კი არ იყო, ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენ იქ იატაკად დავაგეთ შავი გრანიტი. მოსაწმენდადაც ადვილია და გამძლეა. მეტროს სადგურებმა გაამართლა, პირველად მათ გამოიყენეს.

— ***როგორ აშენებდა ნიკალა იმ სახლს?***

— თბილისში მუშაობა რომ დაიწყო, გადაწყვიტა, სოფელში სახლი აეშენებინა. აქ დუქანი ჰქონდა, რომელმაც მისცა შესაძლებლობა, მასალები მოეგროვებინა. ორი წელი აგროვებდა მასალებს. მისი დისშვილებისგან ვიცი (მაშინ ბავშვები იყვნენ), რომ ლაგოდეხის ტყიდან გამოიტანა მასალები, დააპო, დახერხა, გააშრო და 1898 წელს სახლის მშენებლობა დაიწყო...

— ***მანამდე სად ცხოვრობდა?***

— იქვე ახლოს ჩვეულებრივ ქოხში ცხოვრობდა. ეს სამოსახლო ნიკალამ თავად ამოარჩია. სადაც ის ქოხი იყო, იქ კი არ ააშენა, მისგან მოშორებით. მასალა თვითონ ნიკომ მოიტანა. პროექტიც თვითონ შეადგინა. სახლი რომ ააშენა, მერე ადგა და მთლიანად მოხატა. სახლის აშენების მაღარიჩიც გადაიხადა კაკლის ქვეშ. ის ნიკალასეული კაკალი ისევ დგას... თამადაც თვითონ იყო, ომახიანი ხმა ჰქონდა, სიტყვაც მოსდევდა და კარგი სიმღერაც იცოდა. თამადას მეტი რა მოეთხოვება. სუფრა რომ დამთავრდა, მერე წამოიყვანა ხალხი, გაუხსნა კარი და მოხატული სახლი აჩვენათ. მოსახლეობას გაუკვირდა, ასეთი რამ თავის დღეში არ გვინახავსო...

— ***დღეს, ჩვენდა სავალალოდ, ეს მოხატულობა აღარ არსებობს...***

— დიდი ტრაგედია დატრიალდა და იმიტომ. ადრე ფიროსმანმა ბიძაშვილსაც მოუხატა სახლი. 1937 წელს, როცა ძმები ფიროსმანაშვილები დაიჭირეს, აწამებდნენ და აიძულებდნენ თანამზრახველების დასახელებას, ერთ-ერთმა ასეთი რამ თქვა: ჩემი მეგობრები იყვნენ და ამ საქმეში მეხმარებოდნენ: მირზაანელი ნიკო ფიროსმანაშვილი და კასპელი გიორგი სააკაძეო. წავიდა მილიცია ჯერ მირზაანში, მერე კასპში და ეძებდნენ ფიროსმანს და სააკაძეს... ბიძაშვილები 10 დღე ჰყავდათ ჩამწყვდეულები — გვითხარი, სად არის ფიროსმანიო, — გამუდმებით ეკითხებოდნენ... ჩვენ მისი არაფერი არ ვიცით, ისე კი რაღაცებს ხატავდაო. ტყუილად ხომ ვერ მოიგონებდნენ, 1918 წელს გარდაცვლილ ნიკალაზე... როცა გაუშვეს ისინი, ჩამოვიდნენ სოფელში და თქვეს, ფიროსმანი სამშობლოს მოღალატე ყოფილაო. ამის გამო ეძებენ, უნდა დაიჭირონო. შეშინებულებმა წერილები და რაც კი მისი ხელწავლებული იყო, ყველაფერი გაანადგურეს. 40-მდე სურათი დაიწვა მაშინ. მეზობლებს, ნათესავებს, ყველას ჰქონდა ფიროსმანის ნახატები, სოფელში რომ ჩადიოდა ნიკალა, სიღნაღში გააგზავნიდა ხოლმე თავის დისშვილს, სალებავებს დაუწერდა, ჩამოიტანინებდა ხოლმე სიღნაღიდან, მერე იდგა და ხატავდა... ამ ნახატებს ჩუქნიდა ირგვლივ ყველას... ეს ამბავი ჩამაწერინა ალექსი ფიროსმანაშვილმა, იმათ ოჯახშიც იყო ნახატი და მაშინ დაუწვიათ. ახლა იმ ადგილას აკაკის ხე არის ამოსული. ამ აკაკისთან დაწვეს ეს ნახატები. როცა მოხვდებით მირზაანში, გაჩვენებთ, სად დაწვეს ნიკალას ნამუშევრები. რევოლუცია იყო ტრაგედია, თავში ვინც იყო, განათლებულმა ბირთვმა გიორგი სააკაძეც იცოდა და ფიროსმანიც. ვინც აყვნენ რევოლუციას, იმათ არ იცოდნენ, ვინ იყო ფიროსმანი. ასეთი ხალხი დაწინაურდა და მილიციაშიც ისინი იყვნენ. სამწუხაროდ, ყველაფერი ამას შეეწირა, მათ შორის წერილებიც. ფიროსმანის დას ფეფეს ჰქონდა მისი წერილები. აკაკისთან შეაქუჩეს და დაწვეს.

— ***სახლი აიშენა და მაინც თბილისში ცხოვრობდა... რატომ?***

— სახლი კი აიშენა და სოფელში უნდოდა ცხოვრება, მაგრამ მიხვდა, რასაც ქალაქი მისცემდა, იმას სოფელში ვერ მიიღებდა.ქალაქში ასე თუ ისე მხატვრობა იცოდნენ. მედუქნეები დაინტერესებული იყვნენ რეკლამით. ფიროსმანს მათთვის მხოლოდ რეკლამები უნდა ეხატა... მაგრამ, ნურას უკაცრავად და... „მთვარიან ღამეს“, „მარგალიტას“, ან „უშვილო მილიონერს“, „ბავშვებიან ღარიბს“ რომ დაიკიდებს, ეს უკვე მედუქნის იმას სცილდება, ესე იგი მას მოსწონს, უყვარს ხელოვნება და იმიტომ კიდებს სურათებს, თორემ მარტო ჩამონგრეული ადგილის დასაფარად არ იქცევა ასე. ბოლოს უკვე მედუქნეებიც ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რომ ფიროსმანს იმათთვის დაეხატა. რაც მთავარია, დუქანში შესულებს მოსწონდათ ეს ნახატები. იდგნენ და ხმამაღლა მსჯელობდნენ: თამარ მეფეზე, ერეკლეზე, გიორგი სააკაძეზე, სოფლებზე, რთველზე, კალოობაზე, რასაც ფიროსმანი ხატავდა... რახან მოსწონდათ, ბევრი ამის გამო შედიოდა დუქანში, მედუქნე კიდევ ყველანაირად ცდილობდა, გამორჩენა ჰქონოდა... როცა 1912 წელს ჩამოვიდნენ კირილე და ივანე ზდანევიჩები, მიშელ ლედანტიუ და დუქნების დათვალიერება დაიწყეს, ასე უთხრეს, აჰა გაჩუქებთ ამ ნამუშევრებსო, ჩვენი ნიკალა მოვა და კიდევ დავახატინებთ უფრო უკეთესსო.

ილია ზდანევიჩმა 1913 წელს 3 მანეთად იყიდა ფიროსმანის ნატურმორტი. ფიროსმანმა რომ ჰკითხა, რა მიეცი ამ ნატურმორტშიო, 3 მანეთიო, — უპასუხა ზდანევიჩმა. გამოართვა სურათი ნიკალამ, შეათამაშა ხელში და — მერე რა მოხდა, რომ პატარაა, ეს ერთი 100 მანეთი მაინც ღირდაო. ეს ჩემთვის დავხატე, მაგრამ გამიჭირდა და გავყიდეო. აქედან ჩანს, რომ მან ძალიან კარგად იცოდა თავისი თავის და თავისი ხელოვნების ფასი.

— ***დუქნის გახსნა თბილისში არ გაუჭირდა?***

— მაშინ ეს შესაძლებელი იყო, ადგილებიც იყო და დიდი კონტროლი არ იქნებოდა.

/გაგრძელება გვ.8/

# საქართველოს ეროვნული ნაკრების შედეგები ევრო 2024-ზე

***პორტუგალიის დამარცხების შემდეგ, საქართველოს ეროვნული ნაკრები ევრო 2024-ის მერვედფინალში გავიდა. ის, როგორც კონკრეტული მატჩის მოგებისთვის, ასევე, მერვედფინალში გასვლისთვის უეფასგან ბონუსს მიიღებს. ამ დროისთვის საქართველოს ნაკრებმა 12.25 მილიონი ევრო გამოიმუშავა, რაც თითქმის 37 მილიონი ლარია.***

საქართველოს ნაკრებისთვის განკუთვნილი 12.25 მილიონი ევროდან 9.25 მილიონი ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის თანხაა, 500 000 - ჩეხეთთან ფრის, 1 მილიონი - პორტუგალიასთან მოგების და 1.5 მილიონი - მერვედფინალში გასვლის.

უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა 2023 წლის დეკემბერში დაამტკიცა საპრიზო სისტემა, რომელიც 2024 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილე გუნდებს ეხებათ. საპრიზო ფონდი ჯამში 331 მილიონ ევროს შეადგენს. თითოეული ეტაპის დაძლევისთვის გუნდებისთვის გამოყოფილ თანხას, მატჩის ბონუსიც ემატება.

### თანხა ასე განაწილდება:

*9.25 მილიონი ევრო - მონაწილეობისთვის;*

*მატჩის ბონუსი: 1 მილიონი ევრო - მოგება; 500 000 ევრო - ფრე;*

*1.5 მილიონი ევრო - მერვედფინალში გასვლისთვის;*

*2.5 მილიონი ევრო - მეოთხედფინალში გასვლისთვის;*

*4 მილიონი ევრო - ნახევარფინალისთვის;*

*5 მილიონი ევრო - მეორეადგილოსანი;*

*8 მილიონი ევრო - ჩემპიონი.*



მაქსიმალური თანხა, რაც ჩემპიონმა შეიძლება, გამოიმუშაოს თუკი ის ჯგუფურ ეტაპზეც სამივე მატჩს მოიგებს, 28.25 მილიონი ევროა.

UEFA-მ, ამავდროულად, საქართველოსა და თურქეთის გულშემატკივრებს შორის დორტმუნდში, თამაშის დაწყებამდე სტადიონზე ხანმოკლე ჩხუბის გამო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 30 000 ევროს, ხოლო თურქეთის ფეხბურთის ფედერაცია 25 000 ევროს ოდენობით დააჯარიმა.

როგორც AP ნეწს წერს, გადაწყვეტილება UEFA-მ ორშაბათს გამოაცხადა.

ამასთანავე, UEFA-მ „ევრო 2024“-ის თანაორგანიზატორი გერმანიაც დააჯარიმა. მის წინააღმდეგ ორი ჯარიმა გამოიწერა ჯამში 20 000 ევროს ოდენობით. გერმანიის დარღვევები მოედნის დაცვასა და წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას ეხებოდა. ამასთანავე, როგორც მედია წერს, მოედანზე მაყურებლებს კრიშტიანუ რონალდუსთან ფოტოს გადასაღებად გასვლის უფლება არ ჰქონდა. ჯარიმის ერთი ნაწილი სწორედ ამ დარღვევას უკავშირდება.

AP-ს ინფორმაციით, ყველაზე დიდი რაოდენობის ჯარიმა სხვადასხვა საგნის სროლისთვის გამოიწერა, ამისთვის შემდეგი ქვეყნები დაჯარიმდნენ: 68 625 ევროს და 60 000 ევროს ოდენობით სერბეთი, 63 875 ევროს ოდენობით ხორვატია, 57 375 ევროს ოდენობით ავსტრია. 10 000 ევროთი დაჯარიმდნენ ინგლისი და რუმინეთი მოწინააღმდეგე გუნდის ეროვნული ჰიმნის შესრულების ჩაშლის გამო.

# რა შემთხვევაში მოხვდება საქართველო 2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე

***2026 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში ახალი, გაფართოებული ფორმატით გაიმართება. ტურნირში 32-ის ნაცვლად, 48 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას, მათ შორის ევროპიდან 13-ის ნაცვლად – 16.***

იმისათვის, რომ საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვოს – ორი გზა არსებობს.

### პირველი,ტრადიციული გზა

ტრადიციული საკვალიფიკაციო ეტაპი. უეფას წევრი 55 ქვეყანა წილისყრით 12 ჯგუფში გადანაწილდება. თითოეული ჯგუფი 4 ან 5 გუნდით დაკომპლექტდება. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ნაკრებმა გაინაღდოს მსოფლიო ჩემპიონატის საგზური, საკუთარი ჯგუფი პირველი ადგილით უნდა დაასრულოს. შესაბამისად, 16-დან 12 ადგილი ტრადიციული შესარჩევით, ჯგუფში პირველი ადგილოსნებით დაკომპლექტდება. დარჩენილი 4 საგზური კი ვაკანტური რჩება.

### მეორე გზა,ერთა ლიგის გავლით

თუ საქართველოს ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ტრადიციული საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფს პირველი ადგილით ვერ დაასრულებს, იმისათვის რომ საგზურის მოპოვების შანსი შეინარჩუნოს, ამავე ჯგუფში მეორე ადგილი მაინც უნდა დაიკავოს.

12 ჯგუფის მეორე ადგილოსანს დაემატება კიდევ ერთი ტურნირის, ერთა ლიგის ჯგუფების გამარჯვებული საუკეთესო რეიტინგის მქონე 4 გუნდი და სწორედ ეს 16 გუნდი გაითამაშებს ერთმანეთში დარჩენილ 4 ვაკანტურ საგზურს.

ანუ თუ საქართველო ტრადიციულ საკვალიფიკაციო ჯგუფში ვერც მეორე ადგილს დაიკავებს, ერთა ლიგაზე საკუთარი ჯგუფი მაინც უნდა მოიგოს, რომ 4 ვაკანტური საგზურისთვის ბრძოლა გააგრძელოს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ერთა ლიგიდან საკუთარი ჯგუფის გამარჯვებული 4 საუკეთესო გუნდი გააგრძელებს საგზურებისთვის ბრძოლას. საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგის ჯგუფში პირველი ადგილი აუცილებლად უნდა დაიკავოს, თუმცა შეიძლება ესეც არ აღმოჩნდეს საკმარისი, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია რეიტინგი. საქართველო ერთა ლიგის B დივიზიონში ასპარეზობს, არსებობს A დივიზიონიც, სადაც საფრანგეთი, ესპანეთი და სხვა მსგავსი უფრო მაღალი დონის გუნდები ასპარეზობენ. A დივიზიონის რეიტინგი B დივიზიონზე მაღალია, შესაბამისად ზემოხსენებული 4 გუნდი ჯერ A დივიზიონიდან შეირჩევა და შემდეგ გადავა პროცესი B დივიზიონზე. თუმცა, რადგანაც A დივიზიონში მსოფლიო ფეხბურთის წამყვანი გუნდების ასპარეზობენ, საკმაოდ დიდია შანსი, რომ ამ დივიზიონის ჯგუფების გამარჯვებულებმა ტრადიციული საკვალიფიკაციო ეტაპით მოახერხონ მუნდიალზე საგზურის მოპოვება ან მე-2 ადგილებზე გასვლა და შესაბამისად ერთად ლიგის გზა მათ საერთოდ აღარც დასჭირდეთ. ასეთ შემთხვევაში პროცესი B დივიზიონზე გადაინაცვლებს და აქ ჩნდება საქართველოს შანსიც, თუ რა თქმა უნდა, ერთა ლიგაზე თავის ჯგუფს მოიგებს.

პლეი-ოფში, რომელში მონაწილეობის შანსიც საკვალიფიკაციოს ჯგუფის მეორეადგილოსნებს და ერთა ლიგის ჯგუფის 4 გამარჯვებულს ექნება – გუნდები ორ შეხვედრას გამართავენ, ნახევარფინალსა და ფინალს.

### ვისთან და როდის

მსოფლიო ჩემპიონატის ტრადიციულ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჯგუფები 2024 წლის დეკემბერში დაკომპლექტდება, შესაბამისად უცნობია თუ ვის წინააღმდეგ მოუწევს საქართველოს ნაკრებს ბრძოლა, თუმცა უკვე ცნობილია თუ ვის დაუპირისპირდებით ერთა ლიგის მიმდინარე სეზონში.

მას შემდეგ რაც საქართველომ ერთა ლიგის C დივიზიონის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა, ასპარეზობას B დივიზიონში განაგრძობს, სადაც წინა ტურნირისგან განსხვავებით, შედარებით ძლიერი მეტოქეები ეყოლება.

B დივიზიონის პირველ ჯგუფში საქართველო ალბანეთის, უკრაინისა და ჩეხეთის ნაკრებებთან ერთად მოხვდა და სწორედ ამ ჯგუფის მოგება დასჭირდება იმისათვის, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის შანსი შეინარჩუნოს იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე ვერც პირველ და ვერც მეორე ადგილს ვერ დაიკავებს.

ერთა ლიგის ამ გათამაშების პირველ შეხვედრას საქართველო შინ 7 სექტემბერს ჩეხეთის წინააღმდეგ გამართავს. ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპი მიმდინარე წლის შემოდგომაზევე დასრულდება.

საქართველოს ერთა ლიგაზე კარგად გამოსვლა იმ შემთხვევაშიც მართებს, თუ ჯგუფს ვერ მოიგებს, რადგან ჯერ ერთა ლიგაა და შემდეგ ტრადიციული საკვალიფიკაციო რაუნდი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2024 წლის დეკემბერში გაიმართება ტრადიციული საკვალიფიკაციო ჯგუფის წილისყრები და ის თუ რა სიძლიერის მეტოქეები შეხვდებიან ქართველ ფეხბურთელებს, დამოკიდებული იქნება ნაკრების ზოგად რეიტინგზე. რაც უფრო კარგი შედეგები გექნება და მაღლა იქნები რეიტინგში, მით მეტია შანსი, რომ ჯგუფში შენზე სუსტი მეტოქეები შეგხვდნენ.

მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატი 2026 წელს აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში 11 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით გაიმართება.

# რინგზე მოგებული თანხა ქველმოქმედებისთვის

**დედოფლისწყაროს უშუს გუნდის მწვრთნელმა ლუკა პოპიაშვილმა „გამას“ რინგზე გამარჯვება პირველივე რაუნდში შეძლო, რის გამოც საუკეთესო მებრძოლის ფულადი ბონუსის მფლობელიც გახდა და 3000 ლარიანი ვაუჩერი გადაეცა. ამჯერად სპორტსმენმა გადაწყვიტა მოგებული თანხა ქველმოქმედებისთვის გადარიცხოს და იმ სპორტსპენების ოპერაციის დაფინანსებას მოახმაროს, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. თავად ლუკაც რეაბილიტაციის ხანგრძლივი პროცესიდან ახალი დაბრუნებულია და ქველმოქმედების წასახალისებლად მისი მოტივატორი ეს გარემოებაც გახდა.**




**ლუკა პოპიაშვილი:** „ახლახან, ერთ-ერთმა სპორტსმენმა გიორგი ახალაიამ გაიკეთა ოპერაცია, კიდევ ბევრი ადამიანია, რომელთაც ჩვენი დახმარება სჭირდებათ. ერთი წელიც არაა, რაც მე სპორტში დავბრუნდი. მანამდე ორი წელი გამიცდა და საერთოდ ვერ ვვარჯიშობდი. ერთი წლის განმავლობაში ვერ დავდიოდი, რადგან მეც ფეხზე გავიკეთე ოპერაცია და ვიცი რამდენად დიდი პრობლემაა ეს. კარგად მესმის ოპერაციების სირთულე, ამიტომაც გადავწყვიტე ჩემი ჰონორარის 100% რასაც „გამა“ ჩამირიცხავს, სრულად გადავრიცხო ასეთი ადამიანებისთვის და მათ გამოჯანმრთელებას მოვახმარო.

ამჯერად „გამაში“ გამართულ შეჯიბრზე ჩემი მოტოქე დათო ფირცხალავა ამ ბრძოლამდე დაუმარცხებელი იყო, ჰქონდა ორი მოგება და არცერთი წაგება. თავისი ხასიათიდან გამომდინარე არ იყო ადვილად დასამარცხებელი მებრძოლი, მაგრამ მაინც პირველივე რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით მოვუგე. რაც შეეხება ბონუსს, ესაა ფულადი ბონუსი, რომელიც საღამოს ლიდერ მებრძოლს დამატებით გადაეცემა და ჯილდოს გასცემს ორგანიზაცია გამას მთავარი სპონსორი ლიდერბეთი. რა თქმა უნდა გამარჯვებულსაც სპონსორი თავად არჩევს. უფლის ნებითა და შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით ამჯერად ბონუსი მე დავიმსახურე. როგორც ჩანს ამ საღამოზე გამორჩეული სანახაობა ვაჩვენე... ზოგადად, დიდი ხანია მინდოდა გამას რინგზე გასვლა. პირველ რიგში იმიტომ, რომ საქართველოს ნომერ პირველი საბრძოლო ორგანიზაციაა თავისი პოპულარობით. მე სანდას და მმას მოჩხუბარი ვარ ჩემი მთავარი ძლიერი მხარე ხელით ჩხუბი არასდროს ყოფილა და მინდა დავხვეწო ხელი და ვანახო ხალხს, რომ ხელითაც შემიძლია ჩხუბი და ნოკაუტების მიღწევა. საბედნიეროდ ამ შედეგის ჩვენება მალე მოვახერხე კიდეც. ასევე საინტერესოა თუნდაც ის მცირე ფინანსური შემოსავალი, რომელსაც გამარჯვების შემდეგ ვიღებთ, ელემენტარულად სპორტულ ინვენტარში მაინც გამოვიყენებთ. ზოგადად ჩვენს ქვეყანაში სპორტსმენებს ან ძალიან ცოტა შემოსავალი გვაქვს, ან სართოდ არ გვაქვს და ნამდვილად გვჭირდება ფინანსური გვერდში დგომა რომ წინ წავიწიოთ, სათანადო მომზადება შევძლოთ და დონე უფრო ავწიოთ“.

სხვათაშორის, „გამაში“ ბევრი დედოფლისწყაროელი წარმატებით გამოდის და ხშირ შემტხვევაში ლიდერობენ კიდეც. წარმატებები ჩვენს ბიჭებს!

***ილია მარტყოფლიშვილი***

# ღვაწლი, რომელიც ანათებს



**მიხეილ მურვანიშვილი დაიბადა 1875 წელს (სამწუხაროდ დაბადების თვე და რიცხვი ვერ მოვიძიეთ). 1893 წელს დაამთავრა ახალციხის სატყეო სასწავლებელი.იმავე წელს დანიშნეს მარტყოფის (გარე კახეთის) სატყეოს უფროსის თანაშემწედ. მარტყოფსა და საგარეჯოში ჩასვლისთანავე მიხეილმა დააფუძნა სამკითხველო, სადაც თავმოყრილ ახალგაზრდებს ადგილობრივი მასწავლებლები ხმამღლა უკითხავდნენ წიგნებს.**

ახალგაზრდა მეტყევე აქტიურად ერეოდა სოფლის ცხოვრებაში, ის ხშირად შებრძოლებია გათავხედებულ მოხელეებს. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მიხეილმა „ივერიის“ ფურცლებზე საჯაროდ გაილაშქრა რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედების მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ, დაასაბუთა, რომ მინისტრის ახლად გამოცემული ბრძანება, რომელიც ნებას რთავდა ყველას, გაეჩეხათ სანადელო ტყეები, არის უაღრესად მავნე განკარგულება, რომელიც ხელს უწყობს საქართველოს ბუნების განადგურებას. მეფის მოხელეებმა ეს არ აპატიეს, უმალ თარგმნეს „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილი და მეფისნაცვლის კანცელარიას წარუდგინეს. ბოზოლა მოხელენი გაცოფებულნი იყვნენ -როგორ ბედავს ეს ახალგაზრდა ყმაწვილი, ჩვენივე უწყების მინისტრის განკარგულების დაგმობასო და მურვანიშვილი საგარეჯოს მოაშორეს და ლორეს სატყეოში გადაიყვანეს (რაც საგრძნობლად დაქვეითებას ნიშნავდა).

ახალგაზრდა მიხეილის დასაცავად თვითონ ილია ჭავჭავაძე გამოვიდა, რომელმაც იმავე 1897 წელს „ივერიის“ ფურცლებზე ასეთი შინაარსის წერილი დაწერა: „სოფ.საგარეჯოდან გადაყვანილი იქნა ტყის მცველის თანაშემწე ბ-ნი მურვანიშვილი. მისმა მოშორებამ ძალიან დაალონა მთელი სოფელი. მან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ხალხისა, რადგან ყველას ძმური სიყვარულით ეპყრობოდა. აქ არ მოიპოვება ერთი კაცი, რომ მასთან სამდურავი ქონდეს, თუმცა მან 4 წელი დაყო გარე კახეთში. ამ ხნის განმავლობაში გლეხობისგან ქურდულად ტყის ჩეხვას არ ჰქონია ადგილი და ამიტომაც ოქმის შედგენა ძალიან იშვიათი მოვლენა იყო. თუ გლეხობას ტყიდან რამე ჭირდებოდა, მიხეილი თვითონ შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე. საზოგადო საქმეებშიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა; იგი ითვლებოდა საგარეჯოს სახალხო წინგთსაცავის გამგეობის წევრად და როგორც გამგეობის წევრი სულ იმის ცდაში იყო, გაემდიდრებინა ეს წიგნსაცავი.

შარშან ყოველ ღონისძიებას ხმარობდა აელაგმა ახალი ჯურის ჩარჩები, რომელიც ვენახის წამლობამ დაჰბადა; ამიტომ ხელის მოწერა გამართა, შეაგროვა ფული და ამ ფულით გლეხებისათვის იყიდა ვაზის სასხურებელი მანქანა და გოგირდის შესაბერი. ყველა გლეხს შეეძლო უფასოდ გამოეყენებინა.

ნეტავ რა ავ-ენამ დააშორა ამ სოფელს ეს სასარგებლო და ხალხის გულშემატკივარი კაცი?“ - ილია ჭავჭავაძე. გაზეთი „ივერია“ 1897წ. ამის შემდეგ მალე მიხეილი ყვარლის სატყეოში გადაყავთ. მან ბინა დაიდო სოფელ გავაზში, სადაც მან გატაცებით მოჰკიდა ხელი ტყის დავის საქმეს და როგორც სჩვეოდა, ამით არ დაკმაყოფილდა. მანამდე სოფელში არ იყო სკოლა, ახალმა მეტყევემ ორი სასოფლო დაწყებითი სკოლა გახსნა, სამკითხველო-ბიბლიოთეკაც და ააშენა ქვითკირის შენობა, სადაც იმართებოდა წარმოდგენები.

მიხეილი სურამიდან იყო, ამიტომ სურამს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. 1896 წელს მიუხედავად იმისა, რომ უკვე საგარეჯოში იყო, სურამში დაარსა სამკითხველო. ამავე დროს აქვეყნებს წერილს „ივერიაში“, სადაც ითხოვს, რომ დაეხმარონ სამკითხველოს და შესწირონ წიგნები. 1895 წელს გამოქვეყნებულ წერილში კი ამხელს სურამის მამასახლისს, რომელიც სასკოლო ფულს არ უხდის მასწავლებლებს.

1903 წლიდან აბასთუმნის სატყეოს უფროსის თანაშემწეა, ხოლო 1907 წელს ბაკურიანში გადაყავთ. ცხვორობს სოფ. თორში. სოფელს არ ქონდა სასმელი წყალი, მიხეილის მეთაურობით დაიწყო წყალსადენის გაყვანა. შენდება სკოლა და კეთდება სოფლამდე მისასვლელი საურმე გზა. თორიდან-ბორჯომამდე 14 კილომეტრის მანძილზე. დღემდე ამ გზას „მურვანიშვილის გზას“ უწოდებენ.

1910 წლიდან წაღვერის სატყეოს უფროსია. აქ მან ყველაზე დიდხანს - 8 წელი იმუშავა. პირველ რიგში ააშენა ქვითკირის 2 შენობა ერთი სკოლისთვის და ერთიც მასწავლებელთა ბინისათვის. მერე შემოიკრიბა იქაური ახალგაზრდობა და დაიწყო წარმოდგენების გამართვა და აქედან შემოსული თანხებით ააგო თეატრის შენობა. მოაწყო სამკითხველო და სპორტის მოედანი.სამი კილომეტრის მანძილიდან გამოიყვანა სასმელი წყალი. აღმოაჩინა და მოაწყო მჟავე წყლის ახალი კერები, ააშენა ტყე-პარკი დამსვენებელისათვის. თუ დღეს წაღვერი განთქმული კურორტია, ამას მნიშვნელოვნად მურავნიშვილს უნდა ვუმადლოდეთ. მისი თაოსნობით გამოყოფილი იქნა ყველაზე საუკეთესო კუთხე წაღვერში -კეჩხობი, სადაც მიხეილმა გააშენა ტყე და დაგეგმა აგარაკების ასაშენებლად.

წაღვერში ყოფნისას ნახანძრალ ადგილზე - გვირგვინას უბანზე, საყდრის ღელეზე მან 455 ჰექტარ ფართობზე გააშენა ფიჭვის ტყე.

1913 წელს იგი დაუკავშირდა მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოებას და წინადადება შეიტანა დაეწყოთ გათხრები წაღვერში, უზნარიანის ციხის მიდამოებში. ერთი თვის განმავლობაში აქ აღმოაჩინეს ნივთები ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული თამარის ეპოქით დამთავრებული. 1918 წლიდან სურამის სატყეოშია, მაგრამ მალევე გადაყავთ ბორჯომში. ბორჯომის უნიკალურ ტყეები მაშინ უამრავი მრეწველის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა. მიხეილმა თავდაუზოგავი შრომით მოახერხა და სრულად გადაარჩინა ეს უნიკალური ტყეთა მასივი.

1924 წელს დაარსა თესლის საშრობი ქარხანა (რომელსაც იმ დროს ყოფილი საბჭოეთა კავშირში ანალოგი არ ქონდა), დაამზადა წიწვოვანთა ჯიშების თესლი, რომელიც ტონობით იგზავნებოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის ქალაქებში, არამედ ევროპაშიც. მურვანიშვილმნა მოაწყო სანერგეები აბასთუმანში, წყალტუბოში,ბახმაროში. გააშენა ტყეთა მასივი მცხეთაში და კასპში.

1934 დეკემბრიდან ის სურამის სატყეოს დირექტორია. აქ მან ჯერ სანერგე მოაწყო, ხოლო შემდეგ 131 ჰექტარზე (ბაინათხევის და კვირაცხოვლის სერებზე) გააშენა უნიკალური ჯიშის ფიჭვი.

მურვანიშვილი მეგობრობდა საზოგადო მოღვაწეებთან: ი.გრიშაშვილი. ვ.ანჯაფარიძე. ირ. ევდოშვილი. არჩ. ჯორჯაძე.აკ. ფაღავა, მარიჯანი,ზ.ფალიაშვილი, მიხეილ ჭიაურელი და სხვები. რომელიბიც მის ოჯახში კვირის განმავლობაში რჩებოდნენ ხოლმე. მიხეილის ხშირი სტუმარი იყო კონსტანტინე გმასახურდია. გარდა სასოფლო სამეურნეო საქმეებისა მურვანიშვილი აქტიურად თანამაშრომლობდა პრესასთან. მისი წერილები იბეჭდებოდა „ივერიის”, „ცნობის ფურცლის“, „დროების“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე. ის წერდა მოთხრობებსაც, რომლებსაც დიდი გამოხმაურება ქონდა. მეოცე საუკუნის 40-იანი წლებიდან ის პენსიაში გადის. მისადმი პატივისცემის გამოსახატავად საბჭოთა ხელისუფლებამ დააარსა მედალი მეტყევეებისათვის რომელიც მიხეილ მურავნიშვილის სახელობის იყო, ამას გარდა, მას დაენიშნა პირადი პენსია.

1959 წლის 24 დეკემებერს მიხეილ მურვანიშვილი გარდაიცვალა. ის დაკრძალულია დაბა სურამში, მის მიერვე გაშენებული ბაინათხევის ტყის შესასვლელში.

# მევიოლინე ლიანა ისაკაძე გარდაიცვალა

***78 წლის ასაკში გარდაიცვალა მუსიკოსი, მევიოლინე ლიანა ისაკაძე. ინფორმაციას ოჯახის წევრები ავრცელებენ. ლიანა ისაკაძემ 1970 წელს დაამთავრა პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორია.***

1970-1992 წლებში იყო მოსკოვის ფილარმონიის სოლისტი; 1981-1995 წლებში საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის მხატვრული ხელმძღვანელი; 1974 წელს მის შესახებ გადაიღეს იაპონური დოკუმენტური ფილმი; 1975 წელს გადაღებულია ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“; 1990 წელს მან გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტში ჩაიყვანა საქართველოს კამერული ორკესტრი, რომელიც „ინგოლშტადტის ქართული კამერული ორკესტრის“ სახელით მოღვაწეობს; 1992 წელს ინგოლშტადტში დააარსა თავისი პედაგოგის, დავით ოისტრახის სახელობის მუსიკალური აკადემია.

ლიანა ისაკაძე თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მევიოლინეა; იგი ვუნდერკინდებს ეკუთვნოდა, სამი წლის ასაკში გახდა მევიოლინე; მისი შესრულება გამოირჩევა არტისტიზმით, ღრმა მუსიკალურობით, ვირტუოზულობით. მის რეპერტუარშია კლასიკური და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშები; ქართველი კომპოზიტორების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია; არის კლასიკური მუსიკის ფესტივალის, ბათუმის „ღამის სერენადების“ ორგანიზატორი.

მუსიკოსს მიღებული აქვს ჯილდოები, პრემიები და პრიზები: 2016 წელი - ბათუმის საპატიო მოქალაქე; 2016 წელი - თბილისის საპატიო მოქალაქე; 1998 წელი - ღირსების ორდენი, მუსიკალური ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი პირადი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის; 1979 წელი - ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემია; 1974 წელი - საქართველოს სახალხო არტისტი; 1970 წელი - სიბელიუსის სახელობის კონკურსი (ჰელსინკი), პირველი პრემია; 1970 - პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსი, მესამე პრემია (მოსკოვი); 1965 წელი - მარგარიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსი, პირველი პრემია (პარიზი); 1961 წელი - მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი, მეორე პრემია; 1957 წელი - ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი; 1956 წელი - რესპუბლიკის ფესტივალი, პირველი პრემია, საპატიო ნიშნის ორდენი.

## ნაილი კოსიაშვილი



უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს ყოფილი თანამშრომელი ნაილი კოსიაშვილი.

ნაილი, ჩვენო ძვირფასო, შენ ძალიან კეთილი, დიდბუნოვანი ადამიანი იყავი, ძლიერი იურისტი, ერთგული მეგობარი და კარგი დედა. თან ჰყვებოდი ყველას, რაც შეგეძლო. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდი და გვიყვარხარ. სანამ ვიცოცხლებთ, არ დაგივიწყებთ. იუმორიც გქონდა, ჩვენ ერთად ბევრი წლების კარგი მოგონებები დაგვრჩა სასამართლოს კედლებში.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური საინგილოს მიწა, ნათელში იყავი.

**ოლია სეფიაშვილი, თამარ ჭუნიაშვილი, მზია სეხნიაშვილი, დათო თეთრაული, მარინა პოპიაშვილი, ნაირა მენთეშაშვილი, ცისანა პაპაჩაშვილი, გელა ნიკოლაიშვილი, მარინა ახალაური, ეკა ვარდიშვილი.**

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კომუნალური მომსახურების ცენტრის თანამშრომლები და მეგობრები იუწყებიან

**ნაილი კოსიაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის შვილებს შალვა და ციკო ჯამასპიშვილებს.

---

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი და თანამშრომლები, იუწყებიან, ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი ხელმძღვანელის, ფიროსმანის მკვლევრის და მისი მემკვიდრეობის შემნარჩუნებლის

**ანზორ მაძღარაშვილის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**გამოსათხოვარი**

## ანზორ მაძღარაშვილი

მე მგონი დღეს დრო დადგა, ხარკი გადავუხადო ორ დიდ ადამიანს – ნიკალას და მის დამფასებელს – ანზორს. ჩემო ძვირფასებო, მე დღეს ისეთი ბედნიერი ვარ, მინდა მზე ფარდაგად დაგიგოთ. საუკუნის წინა მთავრობის თვალწინ, მოკვდა ძონძებში გამოხვეული ჭლექიანი დიდი ქართული გენია. ნიკალა მოკვდა ისე, რომ ჭირისუფალი და ცრემლი არ ღირსებია. ყველასგან მიუსაფარი ლეგენდა კაცის საფლავიც დაკარგულია, მაგრამ აი, მე შემიძლია ჭირისუფლის როლი მოვირგო ამ პატარა, თუნდაც ზღვაში წვეთის სახით, ჩემს მიერ შექმნილი იმ პატარა ნოველით, რომელიც ახლახან გამოეცით და გაზეთ „შირაქის“ ძალისხმევით არ დაიკარგა. მინდა ყველას მადლობა გადაგიხადოთ, რომ არანაირ ნიჭს არ კარგავთ, არ კლავთ. მგონია, ამით ზეციდან ანზორი დამმოძღვრავს, რომ კიდევ შევძლო რამის გაკეთება. ვიცი, ცოცხალი რომ მოსწრებოდა, გაუხარდებოდა, უხაროდა თუ მისი მოწაფე რამეს გააკეთებდა და უკვალოდ არ ჩაივლიდა მისი ყველა მცდელობა, რომ გვახსენებდა – „მუზეუმი მუნჯი არ არის, ისწავლეთ მისი ენა“.

მე კიდევ ჭირისუფალი ვარ ჩემი მასწავლებლის, იმ დიდი მეგობრის ანზორ მაძღარაშვილის, რომლისგანაც ვიცი ყველაფერი კარგი თუ რამე მაქვს. მომიწოდებდა ბევრი მესწავლა, მეწერა ლამაზად, გასაგებად და ლაკონურად. ჩვენ ყველას უნდა გვცოდნოდა აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ხელოვნების ისტორია.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული. ნათელი და სანთელი არ მოკლებოდეს ანზორის სულს. თანაგრძნობას ვუცხადებ მის შვილებს კარგი მამის დაკარგვის გამო.

**დალი ფიროსმანაშვილი**

---

ინგა შიოლაშვილი და ხათუნა ბენაშვილი ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ნინო და მიხეილ ბახუტაშვილებს, მეუღლისა და სიძის

**ავთო ბულაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

**ყურადღება!**

მთავრობის შესაბამისი დადგენილებით გამოცხადებული საგადასახადო ამინისტიის შესაბამისად, 2020 წლამდე არსებული საგადასახადო დავალებების ჩამოწერა (მიწის გადასახადი, საშემოსავლო და სხვა გადასახადები) მოხდება, რისთვისაც საჭიროა განაცხადის შესაბამის პორტალზე ატვირთვა.

დაინტერესებულ პირებს საგადასახადო დავალიანების არსებობის შემოწმების და დავალიანების არსებობის შემთხვევაში განაცხადის ასატვირთად დახმარებისთვის გთხოვთ, მობრძანდეთ შპს „ლაშარი +“-ის ოფისში, გამგეობის პირველ სართულზე ან დარეკოთ ტელეფონზე:

**591 22 44 95;**
**593 28 11 46;**

**შპს „ლაშარი+“;**

**გენადი შიოლაშვილი**
**ნინო ფიროსმანაშვილი;**

---

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, 10 ივლისს, 16 საათზე, გიწვევთ ქართველი კომპოზიტორის საქართველოს სახალხო არტისტის ალექსანდრე შავერზაშვილის 105 წლის საიუბილეო ხსოვნის საღამოზე და მხატვრული ქარგვის ფერწერის ლია მაისურაძის პერსონალურ გამოფენაზე. ორგანიზატორი მარიკა პოპიაშვილი და საღამოს მუსიკოლოგი თამარ წულუკიძე.

**მისამართი: თბილისი, გუდიაშვილის №7.**

# ნოდარ დარძულის გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

***26 ივნისს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის მკვიდრის, მხატვარ ნოდარ დარძულის პერსონალური გამოფენა. მხატვარი ფართო საზოგადოებამ თავდაპირველად გაზეთ „შირაქის“ ფურცლებიდან გაიცნო.***

ამჯერად, დედაქალაქში გამართულ გამოფენას ესწრებოდნენ ხელოვნების მოყვარულები, მხატვრის ოჯახის წევრები, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და კულტურის სამსახურის თანამშრომლები, მოწვეული სტუმრები: საქართველოს მწიგნობართა ასოციაციის თავმჯდომარე მანანა გვასალია, აკადემიკოსი თამაზ შილაკაძე, მუსიკოლოგი თამარ წულუკიძე, აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ტომარაძე, ფილოლოგიის დოქტორი ქეთევან გოდერძიშვილი, ენათმეცნიერი ქეთევან ჯერვალიძე, თურქოლოგი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი მარიკა ჯიქია, მხატვრები ბექა, ლაშა, გიორგი კუხალაშვილები, ცნობილი პოეტი მზია ხეთაგური და სხვები. გამოფენას თვითონ მხატვარი მასპინძლობდა და ფერთა სამყაროში სტუმრების გზამკვლევიც თავად იყო. ყველა დამთვალიერებლის კითხვას ამომწურავად პასუხობდა.

ნოდარ დარძული დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედში დაიბადა და გაიზარდა. დაამთავრა თბილისის თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. აქ ის პროფესიული მხატვრობის ძირებს ჩასწვდა და შექმნა თავისი მრავალგანზომილებიანი ხელოვნება, რომელშიც განფენილია, უპირველესად, რწმენა, წარმოსახვა, მითოსი, ეპოსი, რეალობა და ემოციები, მაგრამ ყველაზე მაღლა დგას სიმბოლო – ყოფიერების იდუმალი არსი. დამთვალიერებელს უჩვეულობისა და უცნაურობის განცდა ეუფლება. კომპოზიციები – „ფიროსმანი“, „ბახტრიონი“ და „ცხოვრების ბორბალი“ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. მის ნამუშევრებში ფერს უდიდესი დატვირთვა აქვს და ნახატებში დიდი სითბო იგრძნობა. ხატავს ზეთის საღებავებითა და აკრილით ტილოზე.





ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 34 ფერწერული ტილო იყო წარმოდგენილი, მათ შორის გარდაცვლილი მეუღლის, მამის, დედის და ორიგინალური ავტოპორტრეტიც! როგორც თავად მხატვარი ამბობს: „სამყარო ლამაზია, მთავარია, იქ მხოლოდ სინათლე და სილამაზე ვეძიოთ,“ ასეთია მისი ცხოვრების კრედო.

**ნოდარ დარძული:** „ეს ჩემი პირველი პერსონალური გამოფენაა დედაქალაქში და ჩემთვის ეს ბევრს ნიშნავს. ნამუშევრები ჩემს ცხოვრებას ასახავს. ჩემი ცხოვრება ავსახე ტილოზე და თქვენამდე მოვიტანე. ყოველთვის ვცდილობ ისე ვხატო, რომ მნახველი ადვილად ჩაწვდეს შინაარსს. თოიძის სასწავლებლის შემდეგ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებაც მინდოდა, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ვერ შევძელი. მოხარული ვარ ნანა ჭიჭინაძის გაცნობით, ბრწყინვალე პიროვნებაა და მისი ინიციატივითა და დედოფლისწყაროს ხელისუფლების მხარდაჭერით მოხერხდა ამ გამოფენის მოწყობა.“

გამოფენას ფონად გასდევდა ცნობილი მუსიკოსის მანონი ყუბანეიშვილის, კომპოზიტორ მაყვალა ხორბალაძის, მევიოლინე ქეთევან თავშავაძის მუსიკალური ნომრები. ყველასათვის სიურპრიზი იყო თბილისის ოპერის ერთ-ერთი წამყვანი სოპრანოს მაყვალა ასპანიძის მიერ შესრულებული „ლელა“ რევაზ ლაღიძის ამავე სახელწოდების ოპერიდან. მხატვარმა ულრმესი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორს ნანა ჭიჭინაძეს და დამსწრე საზოგადოებას.

***მარიკა პოპიაშვილი***

# „აკაკის ხესთან დაწვეს ფიროსმანის ნახატები“

*/დასაწყისი გვ.5/*

იგი დას ეხმარებოდა, როცა სოფელში მოსავალი არ მოვიდა და შიმშილობა ჩამოვარდა. ეს ფაქტი დადგენილია, მან „პოვოზკა“ დატვირთა თეთრი ფქვილით და გაგზავნა სოფელში, დას უთხრა, რაც გინდათ, გაყიდეთ, რაც არა, მოიხმარეთო. ასეთი მზრუნველი იყო ნათესავებისადმი, მაგრამ გულდასაწყვეტია, ისე გარდაიცვალა, არცერთმა ნათესავმა არ იცოდა. ფიროსმანი კი, სანამ შესაძლებლობა ჰქონდა, არავის უყურადღებოდ არ ტოვებდა... მაგრამ როცა მას გაუჭირდა, დატოვეს.

— ***ამბობენ, რომ თავიდან მას ფულიც ჰქონდა, კარგადაც იცვამდა და „გრაფს“ ეძახდნენ...***

— თბილისში მას „გრაფს“ ეძახდნენ. პირველად ქართული საცმელით — ჩოხა-ახალუხით და აზიატსკებით დადიოდა. მისმა ნათლიდედამ რომ დაინახა, თქვა, რა მშვენიერი ვაჟკაცია, ქალი არ იქნებოდა ისეთი ლამაზი, ეგ რო ქართული საცმელით ჩამოვიდაო. მერე ეს საცმელი გაიხადა და კოსტიუმი და შარვალი ჩაიცვა. სამწუხაროდ, ფიროსმანის ახალგაზრდობა ნაკლებად ახსოვთ, ძირითადად, ბოლო წლებს იხსენებენ, როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ფიროსმანი მართლა ღარიბი იყო. გართულდა მდგომარეობა. რუსეთის მთავრობამ აკრძალა ალკოჰოლური სასმელები, დუქნები დაიკეტა...1913 წელს ფიროსმანმა ილია ზდანევიჩს უთხრა ასეთი რამ, ბევრს არა, მაგრამ პურის ფულს მაინც ჩემი მხატვრობით ვშოულობო. ზდანევიჩებმა მისი 16 ნამუშევარი იყიდეს. რუსეთშიც უნდა გამოეფინათ, აქედან 4 გამოფინეს და დანარჩენი ნახატები გაყიდეს.

ფიროსმანმა მათ უთხრა, თუ ვინმე იქ გამოჩნდება, შემატყობინეთ და სურათებს აუცილებლად გამოგიგზავნითო. 100 მანეთი მჭირდება, რომ თავი მოვიწესრიგო, საცვლებს შევიცვლიდი, ბინას დავიქირავებდი, მერე დავჯდებოდი და ვხატავდი და ვხატავდიო... თვეში 15 სურათს დავხატავდიო. გაყიდეს ის ნახატები, მაგრამ ფული არ გაუგზავნიათ. ვფიქრობ, მათ მაინც დიდი საქმე გააკეთეს.

თუ არა ზდანევიჩები, ქართველები ყველაფერ ამას გაანადგურებდნენ და ფიროსმანი არ გვეყოლებოდა. რუსებმა აიტაცეს მისი მხატვრობა, ჩვენ ერთი ცუდი ზნე გვჭირს, ბოლმა. შეგვიძლია ბოლმისგან მოვკლათ ის, ვინც რამე სიახლეს შემოიტანს.

— ***ფიროსმანის ნიში, მისი სიმბოლური საფლავი მთაწმინდაზე აიტანეთ...***

— მე და ბატონმა თემურ ჩალაბაშვილმა ავიტანეთ. ავდექი და მარმარილოს დაფა გავაკეთებინე, მინდოდა პარტიზანულად ამეტანა მთაწმინდაზე. მერე ერთხელაც ჩალაბა მოვიდა ჩემთან, ვაჩვენე და ვუთხარი, ავიტანოთმეთქი. ერთ მშვენიერ დღესაც ავიტანეთ. ეს მარტო სიმბოლური საფლავი კი არ უნდა იყოს, სიყვარულის სიმბოლოდაც უნდა იქცეს... ფიროსმანს ავტოპორტრეტი აქვს, ყანწი უჭირავს, მინდა ეს ამოვჭრა და სასაფლაოზე გავაკეთებინო. მეორე მხარეს მარგარიტა იქნება, შუაში კი — წარწერა. ეს ფიროსმანის დიდი სიყვარულის ნიშიც იქნება და საფლავიც. ფიროსმანის სული იტრიალებს... ამას კონკურსი კი არა, სიყვარული უნდა, ფიროსმანმა ხომ განუმეორებელი შემოქმედება დაგვიტოვა, რაც დღემდე აოცებს ყველას.... ეს საფლავიც, ფიროსმანის მუზეუმიც ამის ამსახველი უნდა იყოს.

— ***გინდოდათ, მირზაანში მსოფლიოს საერთაშორისო ხელოვნების ცენტრის დაარსება...***

— რამდენიმე წლის წინ იუნესკოს ძალიან კარგ პროექტში გავიმარჯვეთ. დიახ, მირზაანში უნდა დაარსებულიყო მსოფლიოს საერთაშორისო ხელოვნების ცენტრი, უნდა აშენებულიყო კოტეჯები... ეს ჯდებოდა 2 მილიონ 200 ათასი ამერიკული დოლარი. მოხდა ისე, რომ იუნესკოს წარმომადგენლები 4-ჯერ იყვნენ. ძალიან კარგად მიიღეს ეს პროექტი და ისიც აღნიშნეს, რომ მსოფლიოში ერთადერთი შემთხვევაა, სოფელში დიდი კულტურული კვლევითი ცენტრი რომ იქმნებაო. მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ, 2003 წელს, როგორც ამბობენ, ამ პროექტის სახსრები სიღნაღს მოახმარა. მე კიდევ იმის შემდეგ გამირთულდა ცხოვრება, ველარ ვაწვდენ ხმას იუნესკოს, რომ ვაცნობო, — მაშინ სიღნაღი გააკეთეს და იმათ აჩვენეს, ფიროსმანის მუზეუმი გავაკეთეთო! მირზაანი დარჩა ისევ ისე, უყურადღებოდ...

— ***მუზეუმს რა პრობლემები აქვს?***

— როცა მირზაანში ადამიანები მოდიან, მოდიან ფიროსმანისთვის. ჩვენი მუზეუმი 50 ორიგინალზეა დაპროექტებული და მხოლოდ 14 ორიგინალი გვაქვს, ფიროსმანის 151 ორიგინალი არის ეროვნულ მუზეუმში. ჩვენ ეს დარბაზები ფიროსმანით რომ გვქონდეს დატვირთული, ტურისტები მარტო ფიროსმანს არ ნახავდნენ, შესანიშნავი ხედები, სითბო დახვდებოდათ... სხვანაირ საქართველოს ნახავდნენ. უფრო მეტად დაინტერესდებოდნენ, უფრო მეტი მნახველი გვეყოლებოდა, უფრო მეტი გაიცნობდა ნამდვილ საქართველოს.

„ოცნების“ ხალხმა გაარემონტა მუზეუმი და ცოტა უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. აღარ შეგვრცხვება. ისეთი მოუვლელი იყო, ტურისტები კითხულობდნენ, კი მაგრამ, თუ ფიროსმანი ასეთი დიდი მხატვარია, რატომ არ აქცევს მთავრობა ყურადღებასო. ნიკო ფიროსმანაშვილის სახელობის მუზეუმი სახელმწიფოს განსაკუთრებული მოვლის საგანი იყოს. ეს მუზეუმი სააკაშვილმა გააერთიანა. ადრევე გაერთიანებული რომ ყოფილიყო, ჩვენ ვერაფერს გავაკეთებდით. რაც გაკეთდა, როცა დამოუკიდებლები ვიყავით, მაშინ მოხდა. 2009 წლიდან გაერთიანებული ვართ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში... თბილისის ფილიალის მთავარი პრობლემა მაინც ფართია. ორი ოჯახი მუზეუმის ფართში ისევ ცხოვრობს, მაგრამ მათ მშენებარე სახლში მიიღეს ბინები. ბინები დასამთავრებელია და ვერ მიდიან.

მგონია, რომ კომუნისტების დროს უფრო მეტი პატრიოტი იყო, ვიდრე დღეს, დამოუკიდებელ საქართველოში, ეს ძალიან დიდი ტრაგედიაა, არადა, პირიქით უნდა მომხდარიყო. არტემ აზიური იყო ოქტომბრის რაიონის მაშინდელი რაიკომის მდივანი. თუ ცოცხალი აღარ არის, გაანათლოს მისი სული უფალმა. ამ სახლის სახლმმართველი იყო ნოდარ დონაძე, ნამდვილი პატრიოტი, შემოვიერთეთ განათლების განყოფილების გამგე სოლიკო მელაძე. სამნი მივედით აზიროვთან. ახლა რომ მივიდე განათლების განყოფილების გამგესთან, ალბათ გიჟად გამომაცხადებენ. წავედით და ავუხსენი აზიროვს ვითარება. მანქანაში დაგვსხა და წამოგვიყვანა. სადაც ეს საგამოფენო დარბაზია, სამი ოჯახი ცხოვრობდა, აზიროვმა დაათვალიერა ყველაფერი, ერთ ოჯახს მაშინვე შესთავაზა ბინა სხვაგან და გადაიყვანა. ისეთი სიხარული ვიგრძენი, აქედან რომ სოფელში მივდიოდით, მეგონა, მთელი თბილისი უკვე ჩემი იყო. ავდექი და კიბის ქვეშ ოთახი კარგად გავარემონტე. მერე პატიაშვილთან მივედი, მან ნახა ეს ოთახი, დარჩენილი ორი მოსახლე კიდევ მისი დახმარებით გაიყვანეს და რემონტი დავიწყეთ. ჯუმბერ პატიაშვილი იყო ჩვენი შეფი და ერთხელაც თქვა ასეთი რამ, ამ შენობის სამივე სართული მუზეუმს რომ ეკუთვნოდეს, რა კარგი იქნებოდაო“...

იხსენებს, როგორ ატკინეს გული „ნაციონალებმა“... როცა ერთლარიანზე გამოსახული ფიროსმანი ამოიღეს ხმარებიდან, მაშინ თქვა: „საქართველო ფიროსმანის ღირსი არ არისო“... ამ კრიტიკული კომენტარის გამო ანზორ მაძღარაშვილი 2010 წელს დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეების სიიდან ამოიღეს...

„1969 წლის აგვისტოში დავიწყე მუშაობა ფიროსმანის მუზეუმში და დღეგამოშვებით მათავისუფლებენო“... — ეღიმება... მერე დასძენს: „ფიროსმანი ისე წავიდა, ერთი თბილი სიტყვაც არავისი გაუგია. სიცოცხლის ბოლო წლებში კი უთხრეს, დიდი მხატვარი ხარო, მაგრამ ბოლოს ისიც ჩააშხამეს, — ამ სახლის — ყოფილი მალაკნების ქუჩის №29-ში კიბის ქვეშ ცხოვრობდა...აქედან დაითხოვა სახლის კიბის მეპატრონემ... უკვე დაუძლურებული, ჯანმრთელობაშერყეული იყო. აღდგომის წინა დღეებში ცუდად გახდა. იცოდა, რომ აქ თავისუფალი სარდაფი იყო, იმ სარდაფში ჩავიდა და სამი დღე უპატრონოდ გაატარა, ბოლოს მეჩექმე არჩილ მაისურაძეს კვნესის ხმა შემოესმა, ვინა ხარო, შეეკითხა და ფიროსმანი ვარო. სასწრაფოდ გამოვედი, ეტლი დავიქირავე და რადგან მე დრო არ მქონდა, მგლობლიშვილს გავატანე საავადმყოფოშიო... ამბობს არჩილი. ჩემი აზრით, არამიანცში არ აიყვანდნენ, რადგან დიდი მანძილია იქამდე. ახლოს იყო მეორე — მიხაილოვის საავადმყოფო და მგონია, რომ უფრო იქ მიიყვანდნენ. თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ამბობს, გინდა თუ არა, არამიანცში იყოო... რა აზრი ჰქონდა იმხელა მანძილზე წაეყვანათ, მით უფრო, რომ ისინი უპატრონო ავადმყოფებს არ იღებდნენ?! თუ პატრონი არ ჰყავდა, იმ მიცვალებულს ღობის გარეთ მარხავდნენ. ვერცერთმა მხატვარმა ვერ გაიგო, ისე მოკვდა... ქვაც არავინ დაადო. მთელი თბილისი რიყის ქვას მიაქვს და ერთი რიყის ქვა ვერ მოიძებნა. დაიკარგა ფიროსმანის საფლავი.... ესეც არ არის პრობლემა, მსოფლიოს რამდენი გამოჩენილი ადამიანია საფლავდაკარგული. რაც გვაქვს, ამას მოვუაროთ და მივხედოთ, მის შემოქმედებას ვუპატრონოთ ისე, როგორც ეკადრება! რა კარგი ლექსი დაწერა ლადომ... მთვარეულივით დავემხობი თბილისის მიწას და დიდი ნიკო ფირსომანის ნატერფალს ვკოცნიო... მის ნატერფალს გავუფრთხილდეთ“!

## ამინდი დედოფლისწყარო

| | ორშაბათი 08.07 | | სამშაბათი 09.07 | | ოთხშაბათი 10.07 | | ხუთშაბათი 11.07 | | პარასკევი 12.07 | | შაბათი 13.07 | | კვირა 14.07 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| | 29 ° | 19 ° | 30 ° | 19 ° | 31 ° | 20 ° | 32 ° | 20° | 31 ° | 19 ° | 30° | 19 ° | 30 ° | 19 ° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი